ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 12 მარტი, 2021 №40 (8569) ფასი: 60 თეთრი

ბასილაშვილმა ფედერერს მოუგო

ქართველი ჩოგბურთელი ნახევარფინალში გავიდა

გვ.8

„ქართულ ოცნებაში“ სრული ქაოსია“

გვ.3

თამარ ჩერგოლეიშვილი: „თავისუფალ მედიაში შეჭრა საკუთარი ოჯახის დაცვის მიზნით წარმოუდგენელია“

გვ.2

გიორგი ვაშაძე: „პარლამენტში შევალთ, თუ ვადამდელს დანიშნავენ და პოლიტპატიმრებს გამოუშვებენ“

„ჩვენი სახელმწიფო მიზანმიმართულად ემიჯნება დასავლეთს“

ლევან ალაფიშვილი: „21-ე საუკუნეში სიტყვასთან ბრძოლა უშედეგო, წარუმატებელი ბრძოლაა“

გვ.3

„ოცნება“ ნაცმოძრაობის დაგებულ მახეებში გაება?

გვ.4

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „მოვუწოდებ ხელისუფლებას, რეალურ პრობლემებზე გადმოერთოს. დავითგარეჯი აღმოსავლეთ საქართველოში და ნამახვანი დასავლეთ საქართველოში უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი საკითხებია“

გვ.2

სალომე სამადაშვილი: „დაინიშნოს ახალი არჩევნები და, თუ „ქართული ოცნება“ მომგებია, დაე, მოიგოს“

გვ.4

ლევან ჩაჩუა: „საქართველოს ხელისუფლება იქცევა ისე, როგორც ორკესტრი „ტიტანიკის“ ჩაძირვის დროს“

„ევროდეპუტატებმაც აღიარეს, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა უღირსად იქცევიან“

ეკატერინე ტიკარაძე: „საქართველოში კოვიდის ვაქცინა 13 მარტს შემოვა“



გვ.3

„იგეგმება ნოდარ მელაძისა და მაკა ჩიხლაძის მკვლელობა“

ლევან მამალაძე ფარული ჩანაწერის გასაჯაროებით იმუქრება

გვ.5

ISSN 1987-9385

2 მამუკა მდინარაძე: „პოზიტიური შედეგის იმედი მაქვს“

5 „პროკურატურა „ტვ პირველში“ შეჭრასა და შევარდნას არ აპირებს“

5 კასპში პოლიციელი აქიფ მაჰმუდოვი 10-მა კაცმა ცემა

6 სირიაში რუსული უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდეს

გიორგი ვაშაძე: „პარლამენტში შევალთ, თუ ვადამდელს დანიშნავენ და პოლიტპატიმრებს გამოუშვებენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გიორგი ვაშაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, საქართველოში შარლ მიშელის წარმომადგენელი ჩამოდის. რატომ გახდა აუცილებელი ეს? იმდენად დაკარგა ნდობა ხელისუფლებამ, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან ზედამხედველი სჭირდებათ?

– ფაქტია, რომ ჩიხშია მოლაპარაკებები, თუ ახალი მანდატით ევროკავშირი უფრო აქტიურად არ ჩაერთვება. აქედან გამომდინარე, ევროკავშირისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში პოლიტიკური სტაბილურობა და ვფიქრობ, რომ რადგან ასოცირებული წევრი ვართ ევროკავშირის, მათ მიიღეს ეს გადაწყვეტილება ჩვენი თანხმობით. შარლ მიშელის ვიზიტის დროს ეს იყო განხილული, რომ ახალი ფუნქციით ჩაერთონ ამ მოლაპარაკებებში, ანუ მედიაციის ფუნქციით, რაც ნიშნავს იმას, რომ გარდა ჩვენი და „ქართული ოცნების“ პოზიციებისა, მათაც შეუძლიათ, საკუთარი ვერსია შეთანხმების კუთხით წარმოადგინონ.

– ძალიან მძიმე მოცემულობაა, ქართული პოლიტიკური სპექტრი ვერ ახერხებს ევრასდროს საერთო ენის გამონახვას. ყოველთვის ვიღაც უნდა ჩაერიოს დასავლეთიდან, მისი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა წარიმართოს საუბარი. რატომ ვერ ახერხებთ, რომ დასხდეთ და ისაუბროთ? რატომ გჭირდებათ ყოველთვის თითის ქნევა და მითითება დასავლეთიდან?

– სამწუხაროდ, ეს ხომ არ არის ერთი დღისა და ერთი თვის შექმნილი ვითარება. ეს არის ბოლო წლების განმავლობაში შექმნილი კრიზისებიდან გამომდინარე ვითარება, სადაც ნდობა მხარეებს შორის არ არის და, სამწუხაროდ, ერთსა და იმავე წრეზე ვტრიალებთ. ახლა რასაც ჩვენ გავდივართ, არის ფუნდამენტურად ახალ პროცესზე გადასვლის წინაკრიზისულ-კრიტიკული სიტუაცია. უნდა შევთანხმდეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, რომ პოლიტიკურად განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები ციხეში არ ისხდნენ, არჩევნები უნდა ტარდებოდეს დემოკრატიულად ამ ქვეყანაში, რომ არ იყოს მუდმივად გაყალბებაზე საუბარი და ჩამოვყალიბდეთ, რომ სასამართლო ხელისუფლებამ რეალურად ნაბიჯები უნდა გადადგას დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისკენ, სხვანაირად ქვეყანა ვერ განვითარდება. აი, ამიტომაც ხდება ეს ყველაფერი. ეს არ არის მხოლოდ ამ არჩევნებით გამოწვეული. ეს არის გამოწვეული ბოლო წლების ძალიან მძაფრი კრიზისებით, რომლებიც ხდება ქვეყანაში.

– რა მოლოდინები გაქვთ, არის ხელისუფლება ამ ყველაფერზე წამომსვლელი და დამომობი?

– მათ არ ექნებათ სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ წავიდნენ კომპრომისებზე, იმიტომ რომ გადაწყვეტილებაზე ორიენტირებულად არიან განწყობილი ევროპული მხარეც და ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მარტო მათ მოუწევთ კომპრომისებზე წასვლა, რა თქმა უნდა, ვიაზრებთ, რომ ოპოზიციასაც მოუწევს გარკვეული დათმობები.

– არის ამის მზაობა ოპოზიციაში, რომ თქვენც დათმოთ რაღაც?

– რა თქმა უნდა, მზაობა ამის არის, იმიტომ რომ ეს არის რეალური და ბუნებრივი მოცემულობა, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაშია და, შესაბამისად, აქედან გამომდინარე, ეს მზაობა ოპოზიციაშიც არის.

– ბატონო გიორგი, პლებისციტის ჩატარების ერთ-ერთი ინიციატორი თქვენც იყავით. დღეს რამდენად დგას ეს საკითხი დღის წესრიგში? იქნება ისევ საუბარი ამაზე?

– ინიციატორი არ ვიყავი, პირდაპირ რომ ვთქვათ, მაგრამ, რადგან ამაზე შევთანხმდით ოპოზიცია, ჩვენ არ გვჩვევია, რომ მერე შევცვალოთ პოზიციები. რადგანაც ამაზე შევთანხმდით, დღესაც ვფიქრობ, რომ პლებისციტი არის ერთ-ერთი გამოსავალი ამ მძიმე კრიზისიდან.

– თუკი ხელისუფლების მხრიდან იქნება თანხმობა, ეს თქვენთვის მისაღებია?

– პირდაპირ გეტყვით, თუკი „ქართული ოცნება“ დასთანხმდება პლებისციტზე პოლიტპატიმრების გათავისუფლებასთან ერთად, ასეთ შემთხვევაში „სტრატეგია აღმაშენებლის“ მხრიდან თანხმობა იქნება.

– ითქვა ისიც, რომ შესაძლოა პარლამენტში შესვლასაც დასთანხმდეს ოპოზიციის ნაწილი.

– თუ შეთანხმება შედგა, რა თქმა უნდა, გაგრძელება არის პარლამენტში შესვლა, იმიტომ რომ საკონსტიტუციო ცვლილებები მისაღებია და ამას სჭირდება ოპოზიციის ხმებიც. ჩვენი ხმების გარეშე ამის მიღება შეუძლებელია. იმავე საარჩევნო რეფორმაზე ჩვენ ხელში რაც ჩაგვივარდა, „ქართული ოცნების“ შემუშავებული კანონპროექტი, ეს არ ასახავს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ჩვენ გვაქვს. ამიტომ ყველაფერზე სამუშაოა.

– ბატონო გიორგი, გამოდის ინფორმაციები, რომ ნაციონალური მოძრაობა კატეგორიულად ეწინააღმდეგება პლებისციტს. თქვენ და „ლელო“ თანახმა ხართ. ასეა?

– ეს მათი გადასაწყვეტია. თუ ისინი შეიცვლიან პოზიციას, მათი პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილება იყო სხვა, ხოლო მიშას განცხადება არის სულ სხვა. თვითონ ჩამოყალიბდნენ, რა უნდათ. ეს მათი გადასაწყვეტია. ნაციმოძრაობა ვერ განსაზღვრავს მოქმედებას სხვა ოპოზიციური პარტიების მხრიდან.

– ანუ ხელახალი არჩევნების საკითხი ჯერ კატეგორიულად არ დგას და, შესაძლოა, შეიცვალოს ეს მოთხოვნა?

– არა, კატეგორიულად არის დაყენებული, უბრალოდ, ხელახალ არჩევნებთან მისვლის გზა არის პლებისციტი. საკითხი მარტივია, როცა მხარეები ვერ ვთანხმდებით, მაშინ უნდა ვკითხოთ ხალხს, გავიგოთ, რა უნდა მას.

– იმ შემთხვევაში, თუ არაფერზე არ წამოვიდა ხელისუფლება, მაშინ რა იქნება? ამ ვარიანტს თუ განიხილავთ?

– რა თქმა უნდა, განვიხილავთ და უფრო მეტიც, გუშინ ვთქვი, რომ მარტის ბოლომდე ეს შეთანხმება უნდა შედგეს. თუ შეთანხმება მარტის ბოლომდე არ შედგა, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებას, უბრალოდ, უნდა, რომ ითამაშოს, დაკიდებული იყოს მოლაპარაკების პროცესი და მუდმივად ამ საკითხებზე ვიყოთ ორიენტირებული და არა იმაზე, რაც ხალხს აწუხებს. თუ მარტის ბოლომდე ეს არ მოხდება, ჩვენ, ერთი მხრივ, გვექნება ძალიან მკაფიო საპროტესტო აქციები და, მეორე მხრივ, გარდა საერთაშორისო წნეხისა, შიდა წნეხი ანუ ხალხის პროტესტი კიდევ და კიდევ უნდა გავაძლიეროთ.

– სანქციებზეც არის საუბარი დასავლეთის მხრიდან?

– საერთაშორისო ასპარეზზე, შესაძლოა, სანქციებამდეც მივიდეს საქმე. დღეს ამ სანქციების თემას აკავებს ის, რომ თითქოს „ქართული ოცნება“ უცხოელებს ეუბნება, რომ მათ შეთანხმება უნდათ, თუმცა, როცა გამოჩნდება, რომ მათ რეალურად შეთანხმება არ უნდათ, პირველი, რაც დაისმება დღის წესრიგში, ეს არის სანქციების საკითხი.

– 16 მარტის ვიზიტისგან რას ელით?

– დიდი სიფრთხილით ვეკიდები ამ საკითხს. ვნახოთ, რა პოზიცია ექნება ევროპულ მხარეს. მე ერთ რამეში ვარ დარწმუნებული, რომ პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით მათ ექნებათ ძალიან მკაფიო პოზიცია. რაც არ უნდა ნეგატიური განწყობა ჰქონდეს „ქართულ ოცნებას“, მათ მოუწევთ პატიმრების გათავისუფლება. თუ არ გაათავისუფლებენ, მაშინ ყველაფერი სანქციებისკენ წავა.

სალომე სამადაშვილი: „დაინიშნოს ახალი არჩევნები და, თუ „ქართული ოცნება“ მომგებია, დაე, მოიგოს“

– დანიელსონი არის ძალიან გამოცდილი და ინფორმირებული დიპლომატი, ამიტომ მისი მოტყუება გაუჭირდება ყველას, ძალიან კარგად ფლობს ქვეყანაში პოლიტიკურ კონტექსტსაც და კარგად ესმის საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის დინამიკა.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა სალომე სამადაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

მისივე თქმით, ხელისუფლებას მოუწევს დანიელსონისთვის იმის ახსნა, თუ რის გაკეთებას აპირებს იმისთვის, რომ შეთანხმება შედგეს და შემდეგ მედიატორის ვიზიტის შედეგებით ბრიუსელში ასოცირების საბჭოზე წარდგეს.

სამადაშვილის განცხადებით, როდესაც ევროკავშირი გეუბნება, რომ ან შეთანხმება შედგება და საქართველო წავა ევროპისკენ ან ეს შეთანხმება ჩაიშლება და ქვეყანა ჩაკეტავს ევროპული მომავლის გზას, ამ ვითარებაში ხელისუფლების მხრიდან მიზეზებისა და საბაბების მოძებნა იმისთვის, რომ არავითარი შედეგი არ დაიდოს, ასე მარტივად არ გადაივლის.

– არ მინდა, წინასწარმეტყველება დავიწყო, როგორ მოიქცევა ხელისუფლება, იმიტომ, რომ სად წავა ღარიბაშვილი? ჩამოვა ის ადამიანი, მოუწევს მასთან შეხვედრა, მოუწევს მისთვის ახსნა, რის გაკეთებას აპირებს ხელისუფლება იმისთვის, რომ შეთანხმება შედგეს და შემდეგ მოუწევს იმ შედეგებით, რაც დაიდება მედიატორის ჩამოსვლის შედეგად, ბრიუსელში გამგზავრება და ასოცირების საბჭოზე წარდგენა.

ღარიბაშვილსა და ხელისუფლებას აქვთ მხოლოდ ორი გზა, სხვა გზა აქ არ არსებობს. ერთი გზა არის, რომ წამოვიდნენ იმ ნაბიჯებზე, რომლებიც გახდის შეთანხმებას შესაძლებელს და ეს, პირველ რიგში, არის პოლიტიკური მართლმსაჯულების თემის დახურვა ან დახურვა თუ არა, პროგრესი. ამ თემაზე აისახება ყველაზე კარგად ის კონკრეტული გადაწყვეტილება, რაც შეეხება პოლიტპატიმრების გათავისუფლებას, ნიკა მელიასა და გიორგი რურუას ვგულისხმობ და, ასევე, საუბარი და შეთანხმება იმაზე, თუ როდის გაიმართება ქვეყანაში შემდეგი საპარლამენტო არჩევნები.

ჩვენ ვნახეთ, რომ ამ თემის დახურვის გარეშე, არც ჩვენს ევროპელ კოლეგებს არ აქვთ მოლოდინი, რომ ეს პრობლემა ამოიწურება.

დანიელსონი არის ძალიან გამოცდილი დიპლომატი, ის იყო ჩემი კოლეგა, ევროკავშირში შვედეთის ელჩი და ჯერ კიდევ იმ დროიდან ძალიან აქტიურად ლობირებდა საქართველოს ინტერესებს ევროკავშირთან მიმართებით, უვიზო მიმოსვლა იყო ეს თუ თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება. ის არის ძალიან გამოცდილი და ინფორმირებული დიპლომატი, ამიტომ მისი მოტყუება გაუჭირდება ყველას, ძალიან კარგად ფლობს ქვეყანაში პოლიტიკურ კონტექსტსაც და კარგად ესმის საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის დინამიკა, – განაცხადა სამადაშვილმა.

ამასთანავე, მან არ გამორიცხა, რომ თუ ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებები კრახით დასრულდება, საზოგადოებრივი პროტესტი დაიწყოს.

– თუ ეს ყველაფერი კრახით დასრულდება, ერთი რამ ნათელია, ჩვენ სხვა პოლიტიკურ პროცესში გადავდივართ ქვეყნის შიგნითაც. გადავდივართ იმ პროცესში, რომ მობილიზება უნდა გავუკეთოთ საზოგადოებას, როგორც უკრაინაში მობილიზდა თავის დროზე საზოგადოება და ეს ქვეყანა გადაარჩინა, ვგულისხმობ საზოგადოებრივ პროტესტს.

ჩვენ ხომ ავირჩიეთ, რომ ევროპაში გვინდა ყოფნა და ევროკავშირის წევრი უნდა გახდეს ეს ქვეყანა, ახლა რომ გეუბნება ევროკავშირი, ან შეთანხმებას მიაღწევ, ან ევროპისკენ გზა დაიკეტება, ცხადია, პასუხს მოვთხოვ მას, ვინც ამ გზას მიხერგავს, ხალხიც მოსთხოვს პასუხს. სხვა სიბრტყეში გადავა ხელისუფლების მდგომარეობაც დასავლეთთან მიმართებით იმიტომ, რომ მათაც ეცვლებათ დამოკიდებულება, – განაცხადა სამადაშვილმა.

მისი შეფასებით, თუ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებებში კონსენსუსი ვერ შედგება, ეს პირდაპირ ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ და ირაკლი ღარიბაშვილი ევროპულ გზაზე უარს იტყვიან და ხელისუფლება ზურგს აქცევს ევროპას.

მან ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდსა და 7 ნოემბრის მოვლენებზეც გაავლო პარალელი.

როგორც სამადაშვილმა აღნიშნა, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან გაჟღერებული მკვეთრი განცხადებების ფონზე, მიხეილ სააკაშვილი დაკავებული თანამდებობიდან გადადგა და ვადამდელი არჩევნები დაინიშნა.

– 7 ნოემბერს განვითარებულ მოვლენებზე მკვეთრი შეფასებების შემდეგ პრეზიდენტი სააკაშვილი გადადგა. დაინიშნა ვადამდელი არჩევნები. დაინიშნოს ახლაც და, თუ არის „ქართული ოცნება“ მომგები, დაე, მოიგოს არჩევნები...

მიუხედავად შეცდომებისა, არ მომერიდება ამ სიტყვების, გარკვეულ შემთხვევებში დანაშაულსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ერთი რამ, რაც ხელშეუხებელი იყო, ეს იყო სწორედ ჩვენი გზა ევროატლანტიკური მომავლისკენ. დღეს როდესაც პირდაპირ გეუბნებიან შენი ევროპელი პარტნიორები, ან მოძებნე შეთანხმება ან შენ კეტავ ქვეყნის გზას ევროპისკენ, თუ შენ ყველაფერს არ გააკეთებ იმისთვის, რომ ეს შეთანხმება შედგეს, ძალიან დიდ ბოდიში, მაგრამ ამაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა სხვანაირად მოგეკითხება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, – განაცხადა სამადაშვილმა.

რაც შეეხება „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერ გიორგი ვაშაძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მისი ინფორმაციით, ხელისუფლებას ზეპრინციპული პოზიცია აქვს „მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეწილის გიორგი რურუას გათავისუფლების საკითხზე, სამადაშვილმა განმარტა, რომ ხელისუფლებამ 8 მარტის შეთანხმების ყველა პუნქტი უნდა შეასრულოს.

– გიორგი რურუას საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ 8 მარტის შეთანხმების ეს კონკრეტული პუნქტი არ შესრულდა და ჩვენ პოლიტიკურ ჩიხში შევედით. მაგალითად, ხმა ვერ მივეცით საკონსტიტუციო ცვლილებებს. ფაქტობრივად, ეს პოლიტიკური კრიზისის გამწვავების ერთ-ერთი მიზეზი იყო. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, ხელისუფლებას შეთანხმებული ვალდებულებებისთვის თავის არიდება გაუჭირდება, რადგან მედიაციის პროცესი სხვა ხარისხში არის აყვანილი.

ამიტომ, ვფიქრობ, სრულიად ოპოზიციურ სპექტრს ძალიან პრინციპული პოზიცია ექნება, რომ ყველა დადებული პირობა, მათ შორის ადრე დადებული, უნდა შესრულდეს იმისთვის, რომ მხარეებს შორის ნდობაზე ვისაუბროთ, – განაცხადა სამადაშვილმა.

მამუკა მდინარაძე: „პოზიტიური შედეგის იმედი მაქვს“

– თუკი ყველა იპოვის ძალას, მოლაპარაკების მაგიდაზე კომპრომისული წინადადებები დადოს, დარწმუნებული ვარ, მოლაპარაკებები პოზიტიური შედეგით დასრულდება.

ამის შესახებ ჟურნალისტებს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა მდინარაძემ განუცხადა.

მდინარაძე ირწმუნება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არაერთი კომპრომისული წინადადება წარადგინა და ახლა იმავეს ოპოზიციისაგან ელის.

– ჩვენი ოპონენტების ქმედებების მიუხედავად, მაქვს იმედი, რომ მოლაპარაკებები ქვეყნისათვის პოზიტიური შედეგით დასრულდება. მთავარია ქვეყნისთვის პოზიტიური შედეგი დაიდოს! ასეთი შედეგი სიმართლეს უნდა ემყარებოდეს. სიმართლე ერთია – ბოლო პერიოდის განმავლობაში ყველა პიარული პროექტი, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენმა რადიკალურმა ოპოზიციამ გამოიგონა, არ არის ის, რაც მოლაპარაკებებს წაადგება, – აღნიშნა მამუკა მდინარაძემ.

მდინარაძის თქმით, „ქართული ოცნება“ ოპოზიციას რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზეც კი მიჰყვება, თუკი დადასტურდება, რომ მმართველი პარტიის სასარგებლოდ არჩევნებში 1%-იან გადახრას მაინც ჰქონდა ადგილი.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართულ ოცნებაში“ სრული ქაოსია“

თამარ ჩერგოლეიშვილი: „თავისუფალ მედიაში შეჭრა საკუთარი ოჯახის დაცვის მიზნით წარმოუდგენელია“

იაგო ნაცვლიშვილი

სკანდალურ აუდიოჩანაწერებზე, სადაც ბერა ივანიშვილი, ქვეყნის პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი და სდსს-ს ხელმძღვანელი ანზორ ჩუბინიძე ფიგურირებენ, ხმაური გრძელდება. ამჯერად საქმე უკვე სამართლებრივ სტრუქტურებს ეხება. სასამართლოს განჩინების საფუძველზე პროკურატურას უფლება აქვს, „ტვ პირველს“ მასალები მოსთხოვოს, ხოლო თუ ის ამას არ შეასრულებს, ტელეკომპანიაში შესვლის უფლება ეძლევა.

ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ ამას არ აპირებენ და თავისუფალ მედიაზე თავდასხმა წარსულში დატოვეს, თუმცა გარანტია არ არსებობს. სასამართლომ კი ეს განჩინება იმ ფონზე მიიღო, როდესაც კანონი მედიას იცავს და ანიჭებს უფლებას, არ გაასაჯაროოს წყარო.

გუშინ, 11 მარტს, ამ თემაზე „ტვ პირველში“ ბრიფინგი გაიმართა, რომელზეც არხის გენერალურმა დირექტორმა ვატო წერეთელმა ხელისუფლებას უთხრა, რომ გამორიცხულია, მათ არხი ჩააქრონ.

კომენტარი გააკეთა ადვოკატმა გიორგი მშვენიერაძემ.

– ის უკანონო და არაკონსტიტუციური განჩინება, რომელიც ჩაჰბარდა ტელეკომპანია „პირველს“, გასაჩივრდება ქვეყნის შიგნით სასამართლოში, რადგან, სანამ არსებობს ეს განჩინება და ის არის ძალაში, მანამდე აქვთ შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს, იძულების სახით ნებისმიერ დროს განახორციელონ ტელეკომპანია „პირველში“ იმ ნივთის ამოღება, რომელიც ფიზიკურად არ არსებობს და, რომც არსებობდეს, მაინც არ აპირებს ტელევიზია ამის გადაცემას საგამოძიებო ორგანოებისთვის, – განაცხადა გიორგი მშვენიერაძემ, რომელიც არ გამორიცხავს, რომ საქმე საერთაშორისო სასამართლოში წავიდეს.

რას ნიშნავს სასამართლოს განჩინება, რა გამოხმაურება ექნება მას საერთაშორისო ასპარეზზე და როგორ უნდა დაიცვას საზოგადოებამ თავისუფალი მედია? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ტაბულას“ დირექტორი **თამარ ჩერგოლეიშვილი** საუბრობს.

– როგორ აფასებთ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას „ტვ პირველთან“ მიმართებით, რას ნიშნავს ეს და საით მიდის ქვეყანა, როდესაც ჟურნალისტებს მასალების გადაცემას სთხოვენ?

– ეს არის კანონის პირდაპირი დარღვევა. მედია სულ სხვა ხარისხის თავდაცულობაა კიდევ, ვიდრე ოპოზიციის ლიდერის დაკავება. თუ ოპოზიციის ლიდერის მიმართ სასამართლომ კანონი პოლიტიკური მიზნით გამოიყენა, ამ შემთხვევაში, როდესაც სასამართლომ პროკურატურას უფლება მისცა, რომ შევიდეს და ამოიღოს მამხილებელი მასალა პრემიერის, შსს-ს მაღალჩინოსნისა და ბიძინა ივანიშვილის ოჯახის მიმართ, ეს კანონის უხეში დარღვევაა, რომელიც პირდაპირ იცავს ჟურნალისტს და პირდაპირ აძლევს იმუნიტეტს, რომ არ გაამხილოს თავისი წყარო არც ერთ შემთხვევაში. წყაროს დაცვის აბსოლუტური უფლება აქვს ჟურნალისტს.

„სოზარ სუბარი ჩემთვის ამოუხსნელ განცხადებებს აკეთებს“

მოსამართლემ კანონი დაარღვია პოლიტიკური მიზნით, იმისთვის, რომ ოლიგარქის ოჯახი დაეცვა მამხილებლებისგან. სულ სხვა ხარისხისა და მასშტაბის პრობლემასთან გვაქვს საქმე, ბევრად უარესთან, ვიდრე ნიკა მელიას საქმეა და კიდევ უფრო მძიმე შედეგებს გამოიწვევს ეს ხელისუფლებისთვის. მე არ მგონია ეს გამიზნული პოლიტიკის ნაწილი, მე ეს უფრო პანიკური მოძრაობა მგონია, იმიტომ, რომ წარმოუდგენელია, ასეთი რამე გაუვიდეთ.

ხალხი სანქციებზე უკვე ღიად ლაპარაკობს და ამის პირდაპირი საფუძველია ამ ადამიანის სანქციები. წარმოუდგენელი ქმედებაა თავისუფალ მედიაში შესვლა საკუთარი ოჯახის დაცვის მიზნით.

– წავლენ ამაზე, რომ სასამართლოს განჩინება აღასრულონ?

– არ ვიცი. ისეთ კითხვას მისვამთ, მელიაზე რომ მისვამდნენ, წავიდოდნენ თუ არა მის დაჭერაზე სპეცრაზმის გზით. რაციონალურად არც მაშინ უნდა წასულიყვნენ ამაზე და არც ახლა უნდა წავიდნენ, იმიტომ, რომ მელიასთან დაკავშირებულმა გადაწყვეტილებამ პრობლემების მეტი არაფერი მოუტანა. ზუსტად იგივეა ახლაც, რაციონალურად არ უნდა გააკეთონ ეს, მაგრამ ჩვენ ხომ არ გვაქვს საქმე ადამიანებთან, რომლებიც რაციონალურად მოქმედებენ თუნდაც თავიანთი მიზნებისთვის.

– სოზარ სუბარი ამბობდა, ჩვენ წარსულში დავტოვეთ ასეთი ქმედებები, არ ვაპირებთ თავისუფალ მედიაზე გალაშქრებასო და ა.შ. ეს იმაზე ხომ არ მიანიშნებს, რომ უკან დაიხიეს?

– ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ხელისუფლებაში ქაოსია. ქაოსია იმასთან დაკავშირებით, რომ, როგორც ჩანს, პროკურატურამ და პირადად შოთაძემ მიიღო რაღაცა ტიპის ბრძანება, რათა ემოქმედა, რომ გაერკვია, ვინ ამხილა ბიძინა ივანიშვილის ოჯახი. ავტომატურად ჩაერთო მოქმედებაში. ჩვეულებრივი ქაოსია და, შესაძლოა, სოზარ სუბართან შეთანხმებული არც იყო. სოზარ სუბარი რას ამბობს, ამას არ აქვს მნიშვნელობა, შეიძლება შემოტრიალდეს, ანუ არაფერი ვიცით.

ივანიშვილის პირობებში ყველაფერი 50/50-ზეა. არაფერს ნიშნავს ის, თუ რას ამბობს სოზარ სუბარი. ივანიშვილის მარიონეტები რას ამბობენ, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმის განსასაზღვრად, რა მოხდება რეალურად.

– ეს ხომ არ ჰგავს „ოცნების“ მესიჯბოქსს? არ მგონია, რომ სუბარს ეს განცხადება თავისი ინიციატივით გაეკეთებინა.

– არ ვიცი, მე ვერ ვიწინასწარმეტყველებ, ვის რა შეიძლებოდა გაეკეთებინა. არ ვიცი, რის გამო შეიძლებოდა გაეკეთებინა ეგ განცხადება სოზარ სუბარს. ეგ კაცი ჩემთვის ძალიან ბევრ ამოუხსნელ განცხადებას აკეთებს. ამიტომ ვერ მექნება პრეტენზია იმაზე, რომ სოზარის გულისთქმას ვხვდები. ამაზე თავს ვერ დავდებ. ვაფასებ იმას, რა შეიძლება მოხდეს და ყველაფერი შეიძლება მოხდეს ამ ხელისუფლების პირობებში.

თავისთავად ის, რომ ასეთი განჩინება არსებობს და მოსამართლის ნებართვა არსებობს იმაზე, რომ პროკურატურა შევიდეს და ამოიღოს მასალა, ეს უკვე იმხელა პრობლემაა, თავისთავად ფიზიკური შეცვლაც კი არ არის საჭირო იმისთვის, რომ ამ ხელისუფლებას სერიოზული პრობლემა შეექმნას.

– გახსოვთ პრეცედენტები, რომ საქართველოში სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება მიეღოს?

– კი, როგორ არ მახსოვს და რამდენიმე მოსამართლე, მე მგონი, დაწინაურებულიც არის „ქართული ოცნების“ პირობებში, მაგალითად, როდესაც საქმე „60 წუთის“ თემას შეეხებოდა. ბუნებრივია, მახსენდება „რუსთავი 2“-ის შემთხვევა, ანუ არსად ეს არ დასრულებულა კარგად და ეს არის რეალურად, როდესაც სასამართლოს იყენებ ამ ტიპის ამოცანების შესასრულებლად, ამის მაგალითები არსებობს ჩვენს წარსულში.

– საერთაშორისო თანამეგობრობის კრიტიკა „ოცნების“ მიმართ ისედაც მწვავეა და, როდესაც ასეთ გადაწყვეტილებასაც მიიღებენ, ეს, ალბათ, კიდევ უფრო გაამწვავებს ვითარებას. რას ელოდებით საერთაშორისო გამოხმაურების თვალსაზრისით?

– კი, ბუნებრივია, რომ ახალ მძიმე ფაზაში გადაიყვანს ვითარებას, იმიტომ, რომ გაცილებით შემზარავი პრობლემა დაგვანახა, რაც ამ ხელისუფლებას აქვს, კიდევ უფრო მძიმე, ვიდრე აქამდე იყო, იმიტომ, რომ სასამართლომ გამოავლინა იმ ტიპის პრობლემა, რომელიც ასეთი თვალსაჩინო დასავლეთისთვის შეიძლებოდა აქამდე არ ყოფილიყო. პოლიტიკური მოტივით პირდაპირ კანონი დაარღვია, კანონი კი არ გამოშიგნა, რაც სხვა სახის უბედურებაა.

– როგორ უნდა დავიცვათ თავისუფალი მედია, რომელიც დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მექანიზმია?

– ისევე, როგორც სხვა ყველა მნიშვნელოვან ღირებულებას ვიცავთ. ეს უნდა მოხდეს აქტიურობით, ყველა იმ არხის საშუალებით, რაც არსებობს იმისათვის, რომ ხელისუფლებაზე წნეხი გავზარდოთ და უკან დავახევინოთ, საბოლოო ჯამში კი ძალაუფლება დავათმობინოთ არჩევნების წესით.

უნდა მივიღოთ ისეთი ხელისუფლება, რომლითაც პროპორციული სისტემა გვაძლევს შესაძლებლობას, გვქონდეს მრავალპარტიული დემოკრატია და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

„ჩვენი სახელმწიფო მიზანმიმართულად ემიჯნება დასავლეთს“

ლევან ალაფიშვილი: „21-ე საუკუნეში სიტყვასთან ბრძოლა უშედეგო, წარუმატებელი ბრძოლაა“

ნათია ხურცილავა

იურისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დღეებში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, პროკურატურის გადაწყვეტილება, ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიებისთვის „ტვ პირველიდან“ ამოიღოს მასალა, შეიცავს თუ არა იმ კანონის დარღვევის საფრთხეს, რომელიც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას ეხება?

– პროკურატურამ თავისი არასწორი გადაწყვეტილებით, რომ გამოძიება დაიწყო არა ფაქტზე, არამედ მის წარმომავლობასა და გავრცელებაზე, იმთავითვე ცუდი დამოკიდებულება გააჩინა. სამართლებრივად ეს არის პირდაპირ ტელევიზიაზე დარტყმა. თუკი 2010-11 წლებზეა საუბარი, ხანდაზმულობის ვადა დგება, ამდენად, საქმეს სამართლებრივი რეაგირება ვერ მოჰყვება. რჩება გავრცელება. ვინ არის გამავრცელებელი? – ცხადია, ტელევიზია. გამოდის, ამ გადაწყვეტილებით პროკურატურა გვეუბნება, გამოვიძიებ მხოლოდ ამ ნაწილსო. პროკურატურამ თავისი გადაწყვეტილებით, გამოძიების მუხლებს ვგულისხმობ, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის პოლიტიკურად ნეიტრალური არ არის.

რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას, განჩინებაში სიტყვა არ არის ნათქვამი, თუ სად უნდა ჩატარდეს ამოღება. ეს ძალიან საშიშია.

– რატომ?

– ტელევიზიის ნებისმიერ ოფისში შეუძლია გამოძიებას შესვლა, იქ, სადაც არიან ჟურნალისტები ან არ არიან. ყველგან შეუძლიათ შესვლა და ნებისმიერი ტექნიკის ამოღება. თან ყველასთვის ცნობილია, რომ ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალურობა კანონით არის დაცული. მათ ასევე იციან, რომ ჟურნალისტები არ აპირებენ წყაროს დასახელებას. თუ დაიწყება ჩხრეკა ტელევიზიაში, ეს იქნება სრული კატასტროფა. 21-ე საუკუნეში იქნებ მასალა ინტერნეტით არის გადმოგზავნილი და არა კონვერტით. ამას რატომ არ უშვებს პროკურატურა?! თუმცა არ გამოვრიცხავ, გენეტიკურ კვალს, ანაბეჭდს ეძებდნენ.

– ერთგვარი შედარება ხდება, შევარდნაძის დროის მაგალითს იხსენებენ, როდესაც „რუსთავი-2“-ში უშიშროება შევიდა, „იმედის“ დარბევის ფაქტებიც მოჰყავთ. რამდენად სწორია შედარებები?

– მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული შემთხვევების საქმის შინაარსი სხვადასხვაა, მოტივი ყველა შემთხვევაში ერთი იყო – კრიტიკული მედიის გაჩუმება და გავლენის მოხდენა.

– ხელისუფლებისთვის ეს მაგალითები და შედეგიც ცნობილია. მიუხედავად ამისა, მაინც რატომ აქვთ ცდუნება, როგორ ფიქრობთ?

– 21-ე საუკუნეში, როდესაც ცდილობ, კონკრეტულ ტელევიზიას, მოდი, ასე ვთქვათ, სიტყვას ებრძოლო, წყლის ნაყვაა. სიტყვასთან ბრძოლა უშედეგო, წარუმატებელი ბრძოლაა. ეს ისეთი მცდელობაა, რომელიც საბოლოოდ დაასრულებს ნებისმიერ ხელისუფლებას, რომელიც დაუშვებს, რომ შეიძლება კონკრეტულ პოლიტიკურ მიზანს მიაღწიოს. ამით ის ხელისუფლება, უბრალოდ, თავს გაინადგურებს, მეტიც, საზოგადოების კიდევ უფრო მობილიზებისა და კრიტიკული განწყობის გამოხატვას უწყობს ხელს.

– როგორ ფიქრობთ, პოლიტიკური კრიზისის დროს ხელისუფლებას რაში სჭირდება, რაში აწყობს სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავება?

– ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, სრულიად გაუგებარია, დღეს ეს ყველაფერი რაში სჭირდება ხელისუფლებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი რუსეთის დაზვერვის შეფმა უკვე გაგვცა. კრემლმა მმართველ პოლიტიკურ ძალას თავისი განცხადებით ღიად გამოუცხადა მხარდაჭერა.

– ნარიშკინის განცხადებას გულისხმობთ ამერიკის მიერ „ქართული ოცნების“ პოზიციების შერყევაზე?

– რა თქმა უნდა! ჩემთვის ეს განცხადება ამ ხელისუფლების რვა თუ უკვე ცხრაწლიანი მმართველობის რუსეთის შეფასებაა. ოკუპანტი სახელმწიფოსთვის ეს მმართველობა სრულიად მისაღები აღმოჩნდა, მეტიც, მოიწონა კიდეც. ეს იყო ხელისუფლების გამხნევება.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მიზანმიმართულად მიმდინარეობდა ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის დისკრედიტაცია და მისი დამოუკიდებლობის ხელყოფა. არადა, დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეებს ინსტიტუტები იცავს პოლიტიკური სუბიექტების შეცდომებისა თუ ძალადობისგან. ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ ჩვენი სახელმწიფო მიზანმიმართულად შორდება და ემიჯნება დასავლეთს. ეს კი ავტომატურად ნიშნავს ჩრდილოეთისკენ წასვლას. ლოგიკა ძალიან მარტივია.

ეკატერინე ტიკარაძე: „საქართველოში კოვიდის ვაქცინა 13 მარტს შემოვა“

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრ ეკატერინე ტიკარაძის განცხადებით, საქართველოში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი პარტია დაგეგმილზე ერთი კვირით ადრე, 13 მარტიდან შემოვა. ამის შესახებ მინისტრმა 11 მარტს ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, ვაქცინების შემოტანა ქვეყანაში ეტაპობრივად მოხდება.

– დღეს ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოში ვაქცინა შემოვა დაჩქარებული ტემპით. თარიღმა გადმოიწია ერთი კვირით. ჩვენ გვაქვს დადასტურებული ინფორმაცია, რომ შაბათიდან საქართველოში გვექნება ვაქცინების ეტაპობრივი მოწოდება. კიდევ ერთხელ მინდა დავადასტურო ძალიან დიდი მადლიერება კომპანიების მიმართ და ასევე ჯანდაცვის სამინისტროს ყველა იმ თანამშრომლის მიმართ, რომლებიც ჩართულები არიან 24-საათიან რეჟიმში ვაქცინის მოწოდების პროცესში და ძალიან დიდ სამუშაოს ასრულებენ ამ მიმართულებით, – განაცხადა ტიკარაძემ.

მინისტრის განმარტებით, 13 მარტიდან ქვეყანაში თავდაპირველად „ასტრაზენეკას“ ვაქცინა შემოვა.

მინისტრის განცხადებით, პირველ ეტაპზე 43.200 ადამიანი აიცრება, ხოლო მათი განმეორებითი აცრა მას შემდეგ მოხდება, რაც „ასტრაზენეკას“ დამატებითი დოზები ქვეყანაში შემოვა.

– მას შემდეგ, რაც ტვირთი იქნება საქართველოს ტერიტორიაზე და ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას ხვალ და ზეგ მოგაწვდით, მოხდება მისი უსაფრთხო ტრანსპორტირება შესაბამის დაწესებულებაში, სადაც ვაქცინაცია იგეგმება. დალოდება „პფაიზერთან“ არ მოხდება, ვინაიდან ეს ორი პროცესი ერთმანეთთან დამოუკიდებლად უნდა წარიმართოს.

„ასტრაზენეკას“ შემთხვევაში აცრილი იქნება 43.200 ადამიანი, მეორე დოზით ისინი აიცრებიან მას შემდეგ, რაც მივიღებთ დამატებით „ასტრაზენეკას“ დოზებს. ეს ასევე შეთანხმებულია საბჭოსთან. გვაქვს დროის მონაკვეთი, როდესაც გარანტირებულად შემოვა მეორე ვაქცინა. ეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ დროულად და დაჩქარებულ რეჟიმში შეგვიძლია ავცრათ უფრო მეტი რაოდენობა მოქალაქეების და ჩვენი ექიმების.

ჩვენ გვაქვს 6-დან 12 კვირამდე ვადა იმ აღნიშნული პროტოკოლით, რითაც ხდება „ასტრაზენეკით“ ვაქცინაცია, შესაბამისად, გარანტირებული მოლაპარაკებებით, რომელიც გამართულია, ჩვენ გვაქვს იმის დასტური, რომ მოესწრება მეორე დოზის შემოტანა, – განაცხადა ტიკარაძემ.

ლევან ჩაჩუა: „საქართველოს ხელისუფლება იქცევა ისე, როგორც ორკესტრი „ტიტანიკის“ ჩაძირვის დროს“

„ევროდეპუტატებმაც აღიარეს, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა უღირსად იქცევიან“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში შექმნილ მრავალმხრივ კრიზისზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.

– 9 მარტს მმართველმა პარტიამ გამოაცხადა, რომ იწყებს მზადებას თვითმმართველობის არჩევნებისათვის. მშვიდობიან დროსა და აწყობილ ქვეყანაში ამ სიტყვებს ყურადღებას არავინ მიქცევდა. ჩვენ გვაქვს მრავალმხრივი კრიზისი, მათ შორის, პოლიტიკური, რომლის მოგვარებაში ჩართულია ევროკავშირი. ამ დროს ხელისუფლება შემოდგომაზე დაგეგმილი ადგილობრივი არჩევნებისათვის ემზადება. ეს უცნაური არ არის?

– უცნაურია. ამას შევადარებდი ერთ სცენას ცნობილი ფილმიდან. იმ დროს, როცა იძირება „ტიტანიკი“, გემზე წყალია შესული, ხალხი გემიდან გარბის, ორკესტრი დგას და უკრავს. საქართველოს ხელისუფლება იქცევა ისე, როგორც ორკესტრი „ტიტანიკის“ ჩაძირვის დროს. „ოცნება“ ოლიმპიური სიმშვიდით ლაპარაკობს თვითმმართველობის არჩევნებზე. ისე განიხილავენ სხვა თემებს, თითქოს ქვეყანა არ ჰქონდეთ თავზე დამხობილი, უზარმაზარი ვალი არ ჰქონდეთ აკიდებული. ვალი უკვე 31 მილიარდ ლარამდე ავიდა, რომ არაფერი ვთქვათ ღრმა პოლიტიკურ კრიზისზე, ხალხის შიმშილზე და სხვა. მარტო გერმანიაში დროებით დასაქმების სურვილი გამოთქვა უკვე 100.000-მდე კაცმა. სხვა ქვეყნებშიც წავა მოსახლეობა სამუშაოდ. ადრეც დიდი იყო შრომითი მიგრაცია. ხელისუფლება ამაზე არ დარდობს. ფასები ყოველდღიურად კატასტროფულად იმატებს. საწვავითა და მედიკამენტებით, ცხიმით დაწყებული, სარეცხი საშუალებებითა და მინერალური წყლით დამთავრებული, ყველაფერს ცეცხლი უკიდია. „ნაბეღლავიც“ კი გაძვირდა! პროტესტიც გახშირდა. ამ დროს ხელისუფლება მშვიდად ემზადება თვითმმართველობის არჩევნებისათვის.

„ნამახვანჰესზე მიწების გამყიდველ ხელისუფლებას პასუხები არ აღმოაჩნდა“

– გგონიათ, რომ ადგილობრივ არჩევნებამდე ბევრი რამ მოხდება?

– ვფიქრობ, რომ ადგილობრივ არჩევნებს დაემთხვევა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები და, ბოლოს და ბოლოს, დამთავრდება დამყაყებული პოლიტიკური სისტემა.

– დამყაყებულ პოლიტიკურ სისტემაში რას გულისხმობთ?

– დღეს გვაქვს პოლიტიკური სისტემა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა შევარდნაძემ და მისმა „მოქალაქეთა კავშირმა“. მისი გზა განაგრძო სააკაშვილმა. ამ პერიოდში საქართველო ვერ ვითარდებოდა. ქვეყნის პერსპექტივას ბოლო ლურსმანი ჩაასო ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“. დღეს საქართველო არაფერს წარმოადგენს საერთაშორისო არენაზე, შიგნით კი არეულობა, სიღატაკე და კრიზისია.

– მომავალი არჩევნებისთვის საარჩევნო გარემოს შეცვლა თუ მოხერხდება?

– უნდა მოხერხდეს. სხვა შემთხვევაში, მივიღებთ ნაქცოცურ პარლამენტსა და ნაქოცურ საკრებულოებს. გამოსასწორებელია საარჩევნო სიები, ასევე – საარჩევნო კოდექსი. ღატაკი ქვეყანა პარტიებს ბიუჯეტიდან არ უნდა აფინანსებდეს. ცესკოში უნდა შევიდნენ საზოგადოების სანდო წარმომადგენლები, საარჩევნო კომისიებში ყველა პარტიას უნდა შეეძლოს ხმების დაცვა. ხმები უნდა ითვლებოდეს ლაივში. თვალთვალი, მოსმენა და ჩანაწერების გამოქვეყნება ამ პოლიტელიტის მოგონილია. საარჩევნო კომისიებში ვიდეოკამერების დაყენებაც არ უნდა გაუჭირდეთ. თუ ეს მოგვარდა, ქოცები და ნაცები ჩვენნაირი პარტიების ხმებს ვეღარ გადაინაწილებენ.

– წლებია, მწვავედ აკრიტიკებთ ნაციონალურ მოძრაობას, რომლის სინდისის პატიმარი იყავით, ასევე – „ქართულ ოცნებას“, რომელმაც იმედი გაგიცრუათ. ევროპარლამენტში საქართველოში შექმნილი მდგომარეობის განხილვისას ევროდეპუტატებმა ორივე პარტია გააკრიტიკეს.

– ეს სამართლიანი და გულწრფელი დამოკიდებულება იყო. შეუძლებელია, ნორმალურ ობიექტურ უცხოელ პოლიტიკოსს კარგი შთაბეჭდილება დარჩეს საქართველოს პოლიტელიტაზე – ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებაზე“. ამათ საქართველოს თავი მოსჭრეს თავიანთი არასახელმწიფოებრივი მოქმედებებითა და განცხადებებით, თავხედობით. ელჩებს ხშირად აწუხებენ. მათთან ისინი ერთმანეთს აბეზღებენ და აცხადებენ, რომ ყველაფრისთვის მზად არიან. ელჩები ხედავენ, რას წარმოადგენენ ეს პოლიტიკოსები და მათ მიმართ ზიზღი უჩნდებათ. ისტორიას ახსოვს მოღალატე ქართველები, რომლებიც ოქროს ურდოსა და ირანს ურიგდებოდნენ. მაგალითად, სამცხე-საათაბაგოს თავადები თვითონ იხვეწებოდნენ რჯულის გამოცვლას, ოღონდ პრივილეგიები ჰქონოდათ. ესეც ასე არიან. ევროპარლამენტშიც შეამჩნიეს, რომ ქართველი პოლიტიკოსები არასახელმწიფოებრივად იქცევიან, ქვეყანაში იწვევენ დესტაბილიზაციას. საკანონმდებლო ორგანოში უნდა მოვიდნენ გაუსვრელი ადამიანები, რომლებიც წარმოადგენენ სხვა ძალას, არ არიან სხვაზე დამოკიდებული არც პოლიტიკურად და არც ფინანსურად. ამ ადამიანებზე არ უნდა არსებობდეს კომპრომატები. ასეთებს უცხოელი პარტნიორებიც ღირსეულებად აღიარებენ და პატივს სცემენ.

– სადავო ნამახვანჰესის მშენებლობის საკითხი პარლამენტის პროფილური კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზეც განიხილეს. რიონის ხეობის დამცველები და ეკოლოგები ხელისუფლების პასუხებით უკმაყოფილო დარჩნენ. თქვენც არ დაგაკმაყოფილათ მინისტრების პოზიციამ?

– ხელისუფლებას პასუხი არ აქვს და როგორ დაგვაკმაყოფილებდა მისი პოზიცია?! მთავრობას ეგონა, პროტესტის მონაწილეები განხილვაზე არ მივიდოდნენ, მაგრამ შეცდა. განხილვას დაესწრნენ კომპეტენტური პირები, სპეციალისტები. ხელისუფლებას არ აქვს ახსნა-განმარტება მთავარ საკითხზე – რატომ გაყიდა უცხოურ კომპანიაზე 121 ლარად 300 ჰექტარამდე მიწა, დაახლოებით ამდენივე კი 99-წლიანი იჯარით გასცა?! თავის დროზე დავითგარეჯის მიმდებარედ საქართველომ იჯარით მისცა მიწა აზერბაიჯანს. დღეს უკვე აზერბაიჯანი ჩიჩხიტურსა და უდაბნოს გვედავება. ახლა მიწა მისცეს თურქ ინვესტორს, რომელიც ჰიდროელექტროსადგურის ამუშავების შემდეგ ელექტროენერგიას გააძვირებს, ბუნებას დააზიანებს, 15 წლის შემდეგ კი ვალდებული არ იქნება, ელექტროენერგია საქართველოს მიჰყიდოს. თუ მოუნდება, ჰესსაც გაყიდის. თურქეთი და რუსეთი ბევრ საკითხში თანამშრომლობენ. 15 წელიწადში რა გარანტია აქვს საქართველოს, რომ თურქები ამ ნამახვანის ჰესს რუსეთს არ მიჰყიდიან?! ამ ჰესის აშენების წინააღმდეგ უნდა გამოვიდეს მთელი მოსახლეობა. შემდეგი აქცია კვირას, 14 მარტს, ქუთაისში გაიმართება.

„ოცნება“ ნაცმოძრაობის დაგებულ მახეებში გაება?

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „მოვუწოდებ ხელისუფლებას, რეალურ პრობლემებზე გადმოერთოს. დავითგარეჯი აღმოსავლეთ საქართველოში და ნამახვანი დასავლეთ საქართველოში უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი საკითხებია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დიმიტრი, თქვენ იმყოფებოდით ნამახვანჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით პარლამენტში მოწყობილ განხილვაზე. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ამ განხილვისაგან? ჰესი უნდა აშენდეს თუ არა?

– ნამახვანჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩემი შეურიგებელი დამოკიდებულება დავაფიქსირე საკომიტეტო სხდომაზე, რომელიც ეძღვნებოდა სამოქალაქო პეტიციის განხილვას. პეტიციის ავტორი გახლავთ ბატონი ვარლამ გოლეთიანი. ის არის რიონის ხეობის მცველთა საორგანიზაციო ჯგუფის ლიდერი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. პეტიცია გამსჭვალულია იმ სულისკვეთებით, რომელსაც იზიარებს ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების უდიდესი ნაწილი და გულისხმობს იმას, რომ მშენებლობა უნდა შეჩერდეს. ხელშეკრულება საქართველოს სახელმწიფოსა და თურქულ კომპანია „ენკას“ შორის უნდა გაუქმდეს.

– შეურიგებელი დამოკიდებულება ნამახვანჰესის აშენების მიმართ რატომ გაქვთ?

– ზოგადად, როგორც ჰიდროტექნიკოსი, რა თქმა უნდა, ჰესების მშენებლობის მომხრე ვარ, მაგრამ ჰესების მშენებლობას თავისი პოზიტიური პირობა უნდა ახლდეს.

– რა პოზიტიური პირობა უნდა ახლდეს?

– ეროვნული ინტერესიდან გამომდინარე უნდა იყოს „ენკარიონსა“ და სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, კერძოდ, „ენკას“ აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე 121 ლარად გადაეცა 576 ჰექტარი მიწა ანუ დაახლოებით 6 მილიონი კვადრატული მეტრი მიწა რიონის ხეობაში. ეს არის ნამახვანისა და ტვიშის მიმდებარე ტერიტორიები ხეობაში. აქედან 381 ჰექტარი კერძო საკუთრებაში, დანარჩენი – ერთი საუკუნით, ანუ ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა საქართველოს უახლეს ისტორიაში, როდესაც სახელმწიფომ საზოგადოების ზურგსუკან განკარგა უძრავი ქონება სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწების ერთობლიობით ისე, რომ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლის მოთხოვნა.

– ლიცენზია როდის არის გაცემული?

– ლიცენზიის გაცემაზე მუშაობა დაიწყო სააკაშვილის დროიდან. 2007 წლის 7 აპრილს პირველად მოსამზადებელ სამუშაოებზე მთავრობის განკარგულებაზე ხელი მოწერილი აქვს ზურაბ ნოღაიდელს (მაშინდელ პრემიერ-მინისტრს), შემდეგ 2008 წელს ორ განკარგულებას ხელს აწერენ აღნიშნული მოსამზადებელი სამუშაოების გაგრძელების შესახებ ვლადიმერ გურგენიძე და 2009 წელს – ნიკა გილაური.

ამის შემდეგ, 2016 წელს, კვირიკაშვილი სააქციო საზოგადოება ნამახვანისთვის უძრავი ქონების სახით სახელმწიფო ქონების გადაცემის შესახებ განკარგულებას აწერს ხელს. თუ აკვირდებით, ეს არის სააქციო საზოგადოება ნამახვანი და არა „ენკა“. 2019 წლის 21 ნოემბერს ბატონი გიორგი გახარია ხელს აწერს უკვე კომპანია „ენკა რინიუდელს“ ჩემ მიერ დასახელებული უძრავი ქონების გადაცემაზე ჩვენი ტერიტორიების სახით.

ეს გაკეთდა სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ კანონის ამოქმედებამდე ორი კვირით ადრე, ანუ 2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედებაში შევიდა სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ კანონი. მანამდე ორი თვით ადრე კი (ისე, რომ საზოგადოებამ ამის შესახებ მხოლოდ ახლა, 2021 წლის გაზაფხულზე გაიგო) გიორგი გახარიამ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც სრულიად ქართველი საზოგადოების აღშფოთების მიზეზი გახდა. ამიტომ დავესწარი საკომიტეტო სხდომას, რომ დამეფიქსირებინა ჩემი შეურიგებელი პოზიცია.

პირველ რიგში, შევახსენე ქალბატონ ნათია თურნავას, რომ ადამიანის ძირითადი უფლებებიდან ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა გარემოს დაცვა, ახლანდელი და მომავალი თაობების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც ეს წერია საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლში, რაც გულისხმობს ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას.

– მაინც რით?

– არა იმით, რომ სამშენებლო კომპანიებზე მიწები გავასხვისოთ, არამედ იმით, რომ საქართველოში შეიქმნას ერთიანი ენერგოსისტემის განვითარების ქართული ფონდი, რომლის დამფუძნებელი უნდა იყოს სახელმწიფო სააქციო საზოგადოება და მასში მონაწილეობის საშუალება საქართველოში დაფუძნებულ რეზიდენტ კომპანიებს უნდა ჰქონდეთ.

ჰიდროენერგეტიკა და, ზოგადად, ენერგოსისტემის განვითარება ეროვნულ ინტერესს უნდა ემყარებოდეს და შიდაინვესტიციებით უნდა ხორციელდებოდეს, მაგრამ არა ისე, როგორც ეს წარმოუდგენია იმ ხელისუფლებას, რომლის მაღალჩინოსნებმა ხელი მოაწერეს ჯერ კიდევ 2007 წელს. აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა სააკაშვილის დროიდან დაიწყო და აშკარად ეს იყო დასავლური დავალების ნაწილი იმიტომ, რომ ამას გააჩნია გეოპოლიტიკური მიზნები, რომ ნატოს წევრი სახელმწიფო თურქეთი ღრმად შემოსულიყო საქართველოს სტრატეგიულ ხეობაში და ხელში ჩაეგდო ქვეყნის მიწის სავარგულები, სადაც აპირებს, დაასახლოს თავისი მუშახელი.

– პარლამენტმა უნდა მოახდინოს ამ ხელშეკრულების რევიზია თუ მთავრობასაც შეუძლია ამის გაკეთება?

– პარლამენტი ვალდებულია, მოახდინოს რევიზია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავრობის აღნიშნული განკარგულებები, როგორც უკანონო სამართლებრივი აქტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდება.

– გაგიჩნდათ იმედი, რომ შეიძლება ხელშეკრულება გაუქმდეს?

– ეკონომიკის მინისტრ ნათია თურნავას პოზიცია თითქოს შეუვალი იყო, მაგრამ მოულოდნელად ქალბატონმა მაია ბითაძემ გააკეთა განცხადება, ვინაიდან ნებართვა 2015 წელს იყო გაცემული, არ გვეგონა, თუ ახლა საზოგადოებაში ამას ასეთი აჟიოტაჟი მოჰყვებოდა, ჩვენც გვყავს შვილები და ოჯახები და ისე შეგვტკივა გული, როგორც თქვენ, ამიტომ აუცილებლად გავაგრძელოთ დიალოგი ამ საკითხზეო.

– პარლამენტის წინ მიმდინარეობს ოპოზიციის პარტიული აქცია, რომელსაც ძირითადად წინა ხელისუფლების წარმომადგენლები მართავენ. ეს ორი საპროტესტო მუხტი ხომ არ გაერთიანდება?

– პირიქით, კი არ გაერთიანდება, მათაც უნდა მოეთხოვოთ პასუხი. ყოფილი ხელისუფლების პარტია ნაცმოძრაობა განიდევნება იქიდან. ნამახვანის საპროტესტო მუხტი რომ მოაღწევს თბილისამდე, კარვებისაგან აღარაფერი დარჩება. მოვუწოდებ ხელისუფლებას, რეალურ პრობლემებზე გადმოერთოს. დავითგარეჯი აღმოსავლეთ საქართველოში და ნამახვანი დასავლეთ საქართველოში უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი საკითხებია.

– ანუ „ოცნება“ ნაცმოძრაობის დაგებულ მახეებში გაება?

– იმედი მაქვს, ბატონი ღარიბაშვილი შექმნილ ვითარებას სწორად შეაფასებს. თუკი მისი ინიციატივით დაიწყო დავითგარეჯთან დაკავშირებით გამოძიება, ნამახვანის საკითხიც არანაკლებ მნიშვნელოვანია და პოლიტიკურ დონეზე მხარს დაგვიჭერს.

„პროკურატურა „ტვ პირველში“ შეჭრასა და შევარდნას არ აპირებს“

მიმდინარე წლის 9 მარტს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც ეფუძნებოდა „ტვ პირველის“ ეთერში გასული სიუჟეტის შინაარსს, თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიღებული იქნა განჩინება „ტვ პირველიდან“ იმ ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი მოწყობილობის ამოღებაზე, რომელზეც დატანილი უნდა ყოფილიყო 6 მარტს „ნოდარ მელაძის შაბათის“ რეპორტაჟში გამოყენებული კერძო საუბრების ამსახველი ჩანაწერები.

პროკურატურის ცნობით, აღნიშნული განჩინება ტელეკომპანიას შესასრულებლად გაეგზავნა 10 მარტს ფოსტის საშუალებით.

გამოძიების მიზანია, სწრაფად განხორციელდეს ტელეკომპანიის ეთერში გასული ფარული ჩანაწერების მოპოვება/მიღება, რათა დროულად დაინიშნოს შესაბამისი ექსპერტიზები მათი ავთენტურობის დადგენის მიზნით და ჩატარდეს სხვა საჭირო საგამოძიებო, საპროცესო მოქმედებები.

პროკურატურაში ფიქრობენ, რომ ტელეკომპანიის პოზიცია, რომ საგამოძიებო ორგანოს ეთერში გასული ჩანაწერები არ მოუთხოვია, წარმოადგენს სასამართლოს განჩინების არასწორ ინტერპრეტაციას, რაც აჭიანურებს გამოძიების მიერ დაგეგმილი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას.

ელექტრონული ინფორმაცია, მათ შორის აუდიოფაილები, შეიძლება დატანილი იყოს ელექტრონული ინფორმაციის მატარებელ მოწყობილობაში, როგორიცაა ტელეფონი, ელ.დისკი, კომპიუტერი, გარე მყარი დისკი და ა.შ. და კომუნიკაციის მხარეს შეიძლება გადაეცეს ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი მოწყობილობით.

– საქართველოს პროკურატურა იმედს იტოვებს, რომ ტელეკომპანია „ტვ პირველი“ ითანამშრომლებს გამოძიებასთან, რათა ხელი არ შეგვეშალოს სწრაფი და ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფაში. იმედი გვაქვს, „ტვ პირველი“ მოგვაწვდის მათთვის წყაროს მიერ გადაცემულ აუდიოფაილებს იმ ელექტრონულ მოწყობილობასთან ერთად, რომლითაც მათ ეს ფარული ჩანაწერები მიეწოდათ, – განაცხადა პროკურატურის პრესცენტრის ხელმძღვანელმა ბაია ცანავამ.

მისივე თქმით, გავრცელებული ინფორმაცია, რომ პროკურატურა გეგმავს ტელევიზიაში შეჭრას, არის სიცრუე.

– ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ არავინ არ აპირებს ტელევიზიაში შეჭრას და შევარდნას. ამის დადასტურებას წარმოადგენს ჩვენს მიერ ამოღების განჩინების ტელევიზიისთვის მიწოდებაზე მათთან წინასწარი სატელეფონო კომუნიკაცია და განჩინების მათთვის ფოსტით გაგზავნის ფაქტიც. მსგავსი სახის ინფორმაცია ცალსახად არასწორია და ემსახურება საზოგადოების მიზანმიმართულად შეცდომაში შეყვანას, – აღნიშნა ბაია ცანავამ.

❖ ❖ ❖

თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, დათქმა, რომლის თანახმადაც დასაშვებია, საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებელმა პირმა ან ორგანომ, საგამოძიებო გაწევის შემთხვევაში, გამოიყენოს იძულების პროპორციული ზომა, წარმოადგენს სტანდარტულ ფორმას.

„2021 წლის 9 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა, რომლის თანახმადაც საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებლებს ნება დაერთოთ განახორციელონ საგამოძიებო მოქმედება – ამოღება, კერძოდ 2021 წლის 6 მარტს გადაცემა „ნოდარ მელაძის შაბათის“ რეპორტაჟში მითითებული კონფიდენციალური წყაროს მიერ „ტვ პირველისათვის“ გადაცემული (გაგზავნილი) ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი მოწყობილობის ამოღება, რომელზეც ჩაწერილი იყო კერძო საუბრები. ასევე კონვერტი, ან სხვაგვარი შეფუთვა.

გასათვალისწინებელია, რომ საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად გაცემულ სხვა განჩინებებშიც, სასამართლო ხელმძღვანელობს და მიუთითებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილით, რომლის თანახმადაც, დასაშვებია, საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებელმა პირმა ან ორგანომ საგამოძიები მოქმედებების ჩატარებისათვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, გამოიყენოს იძულების პროპორციული ზომა და ეს კანონის დანაწესიდან გამომდინარეობს.

შესაბამისად, აღნიშნული დათქმა წარმოადგენს სტანდარტულ ფორმას, რომელიც სხვა უამრავ მსგავს შემთხვევებშიც ეთითება ანალოგიურ განჩინებებში და არანაირი განსხვავებული წესი ამ შემთხვევაში არ გამოყენებულა“, – ნათქვამია სასამართლოს განცხადებაში.

„იგეგმება ნოდარ მელაძისა და მაკა ჩიხლაძის მკვლელობა“

ლევან მამალაძე ფარული ჩანაწერის გასაჯაროებით იმუქრება

ყოფილი მაღალჩინოსანი ლევან მამალაძე სოციალური ქსელში განთავსებულ ვიდეომიმართვაში მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის ფარულ ჩანაწერზე საუბრობს.

როგორც მამალაძე ამბობს, ექსპრეზიდენტი ქვეყანაში რევოლუციური ფონის შექმნის მიზნით ჟურნალისტების ნოდარ მელაძისა და მაკა ჩიხლაძის მკვლელობას გეგმავს.

„სააკაშვილი ადეიშვილთან საუბრისას ლაპარაკობს, რომ აქვს დაგეგმილი, განახორციელოს კონკრეტული ჟურნალისტების ერთგვარი მსხვერპლთშეწირვა – იგეგმება ნოდარ მელაძისა და მაკა ჩიხლაძის მკვლელობა.

ჩანაწერში საუბარია, რომ უნდა განხორციელდეს გიორგი სანაიას მკვლელობის მსგავსი სცენარი, რათა გამოიწვიონ რევოლუციური პროცესები, რომ ჩამოშალონ ქვეყანა. უკანასკნელი სიტყვებით იხსენიებენ ოპოზიციას, ოპოზიციის სხვადასხვა წარმომადგენელს, რომლებიც, მათი თქმით, ვერაფერს ვერ ახერხებენ და რევოლუციას ვერ აწყობენ იმ ჩანაწერების საფუძველზე და ვერ ახერხებენ, გადააყენონ ახლადდანიშნული პრემიერი ღარიბაშვილი. საყვედურს გამოხატავენ: არაფრის თავი არ აქვთ მაგათო.

სააკაშვილი კონკრეტულ ინსტრუქციებს და დავალებებს იძლევა. ამ ჩანაწერების საფუძველზე ის არის კონკრეტულად მკვლელობის შემსრულებლის ძიებაში.

მე მივიღებ ამ ჩანაწერების გასაჯაროებაზე თანხმობას, გამოვამზეურებ ამ ინფორმაციას და ყველა ყველაფერს დაინახავს“, – ამბობს ვიდეომიმართვაში ლევან მამალაძე.

ზურაბ შავლიაშვილს პატიმრობა შეეფარდა

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ ოჯახური კონფლიქტის ფაქტზე დაკავებულ 36 წლის მამაკაცს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ზურაბ შავლიაშვილს სახელმწიფო ბრალდება ოჯახში ძალადობას და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობასა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას ედავება.

პროცესს ესწრებოდა თავად ბრალდებულიც, თუმცა მას სიტყვის თქმის უფლებით არ უსარგებლია. დაცვის მხარე აღკვეთის გარეშე დატოვებას ითხოვდა, მოსამართლემ ამ შემთხვევაში პროკურორის არგუმენტები სარწმუნოდ მიიჩნია და ბრალდებულს აღკვეთის სახით პატიმრობა მიუსაჯა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ გურჯაანში, ვაჩნაძის ქუჩაზე მამაკაცმა ცოლს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, 8 თვის შვილი კი, რომელიც ამ დროს დედას ხელში ეკავა, გონების დაკარგვის შემდეგ გარდაიცვალა.

მომხდარ ინციდენტზე 11 მარტს კომენტარი გააკეთა ბავშვის დედამ თეონა ონიაშვილმა.

– ბავშვი სახეზე არ ამიფარებია, ფეჩი მომხვდა, მისი დაცვა რომ მინდოდა, გულზე მყავდა მიხუტებული, ფეჩის კარი გაიხსნა და მოხვდა, – უთხრა მან ჟურნალისტებს.

როგორც ის აცხადებს, ჩვილს დაზიანება თავზე ჰქონდა. ონიაშვილი ფიქრობს, რომ ბავშვი მიყენებული დაზიანებებით გარდაიცვალა და მოსამართლის გადაწყვეტილებას ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე ეთანხმება.

– მეზობელთან რომ გავიყვანე, ბავშვს სუსტი პულსი ჰქონდა. ჩემთვის უნდა ესროლა ღუმელი. როდესაც მესროლა, კარი გაიხსნა და ბავშვს თავში მოხვდა ეს კარი. ზოგი ამბობს, ვითომ ჩემმა მეუღლემ „ფეჩი“ მესროლა და ბავშვი სახეზე ავიფარე. ბავშვი სახეზე არ ამიფარებია. „ფეჩი“ მომხვდა, ბავშვის დაცვა რომ მინდოდა, გულზე მყავდა მიხუტებული და „ფეჩის“ კარები გაიხსნა, თავზე ჰქონდა დაზიანება, წარბის არეშიც. შვილი მომიკლა. წიწილა ხომ არ არის, 11 თვის ბავშვი სამარეში ჩავდე, რატომ არ უნდა დაისაჯოს ბავშვის მამა?!

კასპში პოლიციელი აქიფ მაჰმუდოვი 10-მა კაცმა ცემა

7 მარტს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერმაში ჯგუფური ანგარიშსწორება განხორციელდა პოლიციელზე, რომელშიც „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პირები ფიგურირებენ.

პოლიციელს 10-მდე კაცი სასტიკად გაუსწორდა. სამართალდამცველმა იმდენად მძიმე დაზიანებები მიიღო, რომ მისი ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო.

პოლიციელი აქიფ მაჰმუდოვი კლინიკიდან 10 მარტს გამოწერეს.

პოლიციელს თავს დაესხნენ „ოცნების“ კოორდინატორის ნათესავები, რომლებსაც სამართალდამცველმა შენიშვნა მისცა მანქანით დიდი სიჩქარით გადაადგილების გამო.

პოლიციელზე თავდასხმის გამო დაკავებული ორი პირი საპროცესო გარიგებით გაათავისუფლეს. დაზარალებული პოლიციელი იგოეთის განყოფილებაში მუშაობს.

– მე რამდენადაც მითხრეს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. საავადმყოფოში შემოყვანიდან მოგვიანებით, დამძიმდა მისი მდგომარეობა. გამოეხატა თავბრუსხვევა, წონასწორობის დარღვევა.

როცა ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ, გაითიშა, ცნობიერება არ ჰქონდა. შემოსვლისას ჰქონდა თავბრუსხვევა, თავის ტკივილი, ზოგადი სისუსტე და მარცხენა თვალბუდის არეში დიდი ზომის სისხლნაჟღენთი.

სიმპტომებიდან გამომდინარე, გადავიყვანეთ კომპიუტერულ კვლევაზე და გადაწყდა ქირურგიის ეროვნულ ცენტრში გადაყვანა, სადაც დაისვა ტვინის შერყევის დიაგნოზი და გავწერეთ ბინაზე, – უთხრა ექიმმა მანანა მარიამიძემ „მთავარს“.

ბათუმში ორი უკრაინელი მეზღვაურისა და სააკაშვილის დაცვის წევრის სასამართლო განახლდა

ბათუმის საქალაქო სასამართლოში საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით დაკავებული უკრაინის ორი მოქალაქის, ასევე მიხეილ სააკაშვილის დაცვის ყოფილი წევრის მიხეილ ბატურინის სასამართლო პროცესი განახლდა.

მხარეებმა 11 მარტს შესავალი სიტყვა წარმოთქვეს.

საქმეს მოსამართლე დავით მამისეიშვილი განიხილავს. დაკავებულთა ინტერესებს ადვოკატი ბექა ბასილაია იცავს.

დაცვის მხარის მტკიცებით, დაკავებულები უკანონო პატიმრობაში იმყოფებიან. ადვოკატი ბექა ბასილაია აცხადებს, რომ დაკავებულები ქართული ხელისუფლების მძევლები არიან. მისივე თქმით, ისინი საქართველოს ტერიტორიულ წყლებში იმყოფებოდნენ, მშვიდობიანი გავლის უფლებით და ეს უფლება ჰქონდა ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს.

2020 წლის 28 ნოემბერს ღია ზღვაში სამი მოქალაქის აყვანა პირდაპირ უკავშირდება საქართველოს მესამე პრეზიდენტს, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება, შესაძლოა, საერთაშორისო სკანდალის საფუძველიც გახდეს.

კატარღა საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ იმ დროს დააკავა, როცა იგი, საქართველოს ტერიტორიული წყლების გავლით, უკრაინიდან თურქეთში მიდიოდა.

აბაშაში 65 წლის ქალი გააუპატიურეს

აბაშის მუნიციპალიტეტში 65 წლის ქალი გააუპატიურეს.

ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად პოლიციამ 1981 წელს დაბადებული მამაკაცი დააკავა.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 1956 წელს დაბადებულ თანასოფლელ ქალზე ფიზიკური ძალის გამოყენებით სექსუალურად იძალადა.

სამართალდამცველებმა მოძალადე მამაკაცი დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს. დანიშნულია ექსპერტიზები, ტარდება შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით მიმდინარეობს. დანაშაული 6-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

ქუთაისში მეგობრის მკვლელობისთვის 24 წლის ირაკლი სოფრომაძე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი 1996 წელს დაბადებული პირი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

უწყების ცნობით, ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 24 თებერვალს, ქუთაისში, მასთან სტუმრად მყოფ მეგობარს – 1978 წელს დაბადებულ ი.გ.-ს ურთიერთშელაპარაკებისას ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ირაკლი სოფრომაძე მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობდა, სადაც მიმდინარე წლის 10 მარტს გარდაიცვალა.

ბრალდებული დანაშაულს აღიარებს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

აშშ-ის გენერალური პროკურორი მერიკ გარლანდი გახდა

აშშ-ის სენატმა გენერალური პროკურორის თანამდებობაზე ჯო ბაიდენის მიერ წარდგენილ მერიკ გარლანდის კანდიდატურას მხარი დაუჭირა.

გარლანდის კანდიდატურის სასარგებლოდ ხმა 70-მა სენატორმა მისცა, 30 კი წინააღმდეგი წავიდა.

აღსანიშნავია, რომ მომხრეებს შორის 20 რესპუბლიკელი სენატორიც იყო.

დემოკრატები ყოფილ გენერალურ პროკურორ უილიამ ბარს ტრამპის პირადი და პოლიტიკური სახელით მოქმედებაში ადანაშაულებდნენ.

სენატის უმრავლესობის ლიდერ ჩაკ შუმერის განცხადებით, გარლანდი „აცნობიერებს, რომ მთავარი პროკურორის საქმე კანონის უზენაესობის დაცვაა, განსხვავებით პრეზიდენტ ტრამპის მმართველობის დროინდელი გენერალური პროკურორებისგან, რომლებიც ხშირად თაყვანს სცემდნენ კანონის უზენაესობის წინააღმდეგ მიმართულ მის ახირებასა და სურვილს“.

სირიაში რუსული უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდეს

სირიაში ბრძოლები გრძელდება. თურქულმა არტილერიამ რუსული ბაზა დაბომბა. მსხვერპლის თაობაზე ინფორმაცია არ არის.

მოგვიანებით თურქულმა სარდლობამ განაცხადა, რომ დაბომბვა შემთხვევით მოხდა.

პარალელურად თურქებმა რუსული უპილოტო თვითმფრინავიც ჩამოაგდეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ინდონეზიაში სკოლის ავტობუსი ხევში გადავარდა

27 ადამიანი დაიღუპა

ინდონეზიაში, დასავლეთ ჯავის პროვინციაში, ავტობუსი, რომელსაც სკოლის მოსწავლეები გადაჰყავდა, ხევში გადავარდა, რასაც 27 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ავტობუსში საშუალო სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები იმყოფებოდნენ. მათგან 39 გადარჩა. მაშველებმა გადარჩენილები საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, ავტობუსი ტექნიკურად გაუმართავი იყო.

მე-17 სართულიდან გადმოვარდნილი მამაკაცი ცოცხალი გადარჩა

ინდოეთის ტამილნადის შტატის ქალაქ პერუნგუდიში მამაკაცი მე-17 სართულიდან გადმოვარდა და ცოცხალი გადარჩა.

კონდიციონერების დაყენების 20 წლის ოსტატი ფიროი ალამი ჩამოვარდა და შენობის მეხუთე სართულზე დაეცა. მან მრავლობითი მოტეხილობები მიიღო ფეხებზე, თავისა და სახის არეში. ის საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს. ალამს ჰქონდა სუნთქვის პრობლემა, აღენიშნებოდა სისხლდენა პირიდან, ცხვირიდან და ყურებიდან.

მამაკაცი ხელოვნური სუნთქვის აპარატზე შეაერთეს და სისხლი გადაუსხეს. როდესაც მისი მდგომარეობა დასტაბილურდა, გამოკვლევა ჩაუტარდა.

ექიმებმა მამაკაცს თრომბები აღმოუჩინეს თავის ტვინის კეფის მიდამოში, ასევე დაუდგინეს კისრის მალების მოტეხილობა, ღვიძლისა და მარჯვენა თირკმლის დაზიანება. მას ჩაუტარდა ყველა აუცილებელი მკურნალობის პროცედურა. გონზე მოსვლის შემდეგ საქმეში ფსიქიატრის ჩართვაც დასჭირდა. მომხდარიდან ორი თვის შემდეგ ალამი სახლში დაბრუნებისთვის მზადაა. ექიმების მტკიცებით, კიდევ სამი თვის შემდეგ ის ისევ შეძლებს სიარულს, ხოლო ერთი წლის შემდეგ – სამსახურში დაბრუნებას.

პრინცი ჰარი სამეფო ოჯახისთვის „ომის გამოცხადებაში“ დაადანაშაულეს

ბრიტანეთის პრინცმა ჰარიმ და მისმა მეუღლემ მეგან მარკლმა სამეფო ოჯახს „ომი გამოუცხადეს“, როდესაც ამერიკელ ტელეწამყვან ოპრა უინფრისთან ინტერვიუში კრიტიკული გამოთქმები დაუშვეს. ამ ინფორმაციას ბუკინჰემის სასახლეზე დაყრდნობით ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ სამეფო ოჯახი აპირებს „ღირსეული დუმილით“ უპასუხოს ამ ყოველივეს და ინტერვიუს შინაარსთან დაკავშირებით კომენტარები არ გააკეთოს. თუმცა, არც საპასუხო ქმედებებია გამორიცხული იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებები იქნება გაჟღერებული კონკრეტული პირების მისამართით.

– თუ ადამიანებზე თავდასხმები მოხდება, მაშინ ისინი ღიად დაიცავენ საკუთარ ინტერესებს. სამეფო ოჯახს შეუძლია გაუძღოს ასეთ დარტყმას, მაგრამ არა ცალკეულ ადამიანებს. სამეფო ოჯახი ომს არ აწარმოებს, მას აწარმოებენ სასექსელები (ჰერცოგი და ჰერცოგინია), – ნათქვამია გამოცემისთვის ინფორმირებული წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციაში.

უმუშევარი მამაკაცი მშობლების კმაყოფაზე ყოფნას მოითხოვს

დიდ ბრიტანეთში მცხოვრებმა 41 წლის მამაკაცმა მოითხოვა, რომ მის ხანდაზმულ მშობლებს მისთვის ცხოვრებისთვის აუცილებელი ფულის მიცემა დაეკისროთ.

ფაიზი სიდიკუი 2011 წლიდან უმუშევარია. დუბაიში მცხოვრები მისი მშობლები ანაზღაურებენ მის ანგარიშებს და ყოველ კვირა 400 ფუნტ სტერლინგზე მეტს აძლევენ. ამავე დროს, ის უფასოდ სარგებლობს დედის მფლობელობაში არსებული ბინით ლონდონში, რომელიც ქალაქის ცენტრში, ჰაიდ-პარკთან მდებარეობს.

როდესაც იმის საფრთხე შეიქმნა, რომ ყოველკვირეული ფულადი დახმარება შემცირდებოდა, სიდიკუიმ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. მან განაცხადა, რომ ჯანმრთელობის პრობლემები და სრული დამოკიდებულება მშობლებზე მას უფლებას აძლევს, მათი ფინანსური დახმარების იმედად იყოს, ხოლო მისთვის ფულის მიცემაზე უარის თქმა ადამიანის უფლებების დარღვევას უნდა გაუთანაბრდეს.

2020 წელს მან უკვე წააგო ოჯახური საქმეების სასამართლოში შეტანილი სარჩელი. ახლა მას სააპელაციო სასამართლო განიხილავს.

ამაზონის დამაარსებლის ყოფილი მეუღლე სკოლის მასწავლებელს გაჰყვა ცოლად

ამაზონის დამფუძნებლის ჯეფ ბეზოსის ყოფილი მეუღლე და მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქალი მაკენზი სკოტი სკოლის მასწავლებელს გაჰყვა ცოლად. 50 წლის მილიარდერი ქალის რჩეული გახდა ქალაქ სიეტლის კერძო სკოლის სიეტლ-ლეიკსაიდის მასწავლებელი დენ ჯუეტი. პირველად წყვილმა სახალხოდ საკუთარ ქორწინებაზე განცხადება შაბათს, 6 მარტს, გააკეთა ვებგვერდზე, სადაც მილიარდერები იფიცებიან, რომ საკუთარ ქონებას სხვებს შესწირავენ. ინფორმირებულმა წყარომ, რომლის ვინაობა უცნობია, სკოტისა და ჯუეტის ქორწინების ფაქტი დაადასტურა.

პორტალზე განთავსებულ საკუთარ განცხადებაში ჯუეტი აცხადებს, რომ შეუერთდა თავისი მეუღლის მიერ აღებულ ვალდებულებას, უზარმაზარი ფინანსური ქონება სხვა ადამიანებს მოახმაროს.

ამაზონის დამაარსებლის წარმომადგენლის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, მაკენზი სკოტის ყოფილმა მეუღლემ და კორპორაციის დამფუძნებელმა ჯეფ ბეზოსმა მის ამჟამინდელ რჩეულს „შესანიშნავი ყმაწვილი“ უწოდა და აღნიშნა, რომ მათი ბედნიერება ახარებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამსახურში მიმავალმა ქალმა მაღაზიაში შეიარა და გამდიდრდა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ როკინგემის მკვიდრი ქალი იმის წყალობით გამდიდრდა, რომ სამსახურში მიმავალმა გადაწყვიტა, გზად მაღაზიაში შეევლო. შავონია ჯონსონის თქმით, პარასკევ დილით მან მაღაზიაში იმ მიზნით შეიარა, რომ სამსახურში მისვლამდე დრო გაეყვანა. იქ კი ორი ხუთდოლარიანი ბლიზარდ ბინგოს ლატარიის ბილეთი შეიძინა.

– ეს ლატარიის ბილეთები ახლახან გამოჩნდა გაყიდვაში, – აღნიშნა ქალმა, – ამიტომ გადავწყვიტე, ბედი მეცადა.

ბილეთი მომგებიანი აღმოჩნდა და მან ქალს 164,3 ათასი დოლარის მოგება მოუტანა. ჯონსონი ლატარიის შტაბბინაში ორშაბათს, 8 მარტს, მივიდა და თავისი პრიზი მიიღო. გადასახადების გასტუმრების შემდეგ მას 116,2 ათასი დოლარი გადასცეს.

მოგებული თანხით^ქალი ავტომობილის კრედიტის დაფარვასა და საჩუქრებით დედისა და ბავშვების გახარებას გეგმავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანსამბლ „სუხიშვილებზე“ წიგნი გამოვიდა

ანსამბლ „სუხიშვილების“ 1945-2020 წლების ისტორია წიგნად გაერთიანდა. კრებულში უნიკალურ ფოტომასალასთან ერთად შეტანილია ანსამბლის შემოქმედებით პროცესთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი ისტორიები.

ნინო სუხიშვილი, ანსამბლის ხელმძღვანელი:

– დაიბეჭდა! დასრულდა მთელი წლის ნამუშევარი! პანდემიის დროს გაკეთებული წიგნი! ანსამბლის ისტორია და მოღვაწეობა 1945-2020 წლებში. დიდი მადლობა ირინა აბჟანდაძეს, კოტე ჯანდიერს, ლევან კიტიასა და მთელ შემოქმედებით და ტექნიკურ ჯგუფს, ვინც ამ წიგნის შექმნაში დამეხმარა. განსაკუთრებული მადლობა შორენა შავერდაშვილსა და?ანა დოლიძეს.



ლევან გოთუას დაბადების დღე მცხეთაში აღინიშნა

მცხეთაში, სამთავროს ტაძრის ეზოში, მწერალ ლევან გოთუას დაბადების დღე აღინიშნა. ამ დღეს მისი რომანის „გმირთა ვარამის“ მცოდნეთა კონკურსში გამარჯვებული ბავშვებიც დაჯილდოვეს.

ივანე ჯაფარიძე, ჟურნალისტი:

– 10 მარტი დიდი ქართველი მწერლის, დრამატურგის, მთამსვლელისა და ქართული ძეგლების მოჭირნახულის ლევან გოთუას დაბადების დღეა.

მცხეთაში, სამთავროს ტაძრის ეზოში, ქართველმა საზოგადოებამ პატივი მიაგო გმირი მწერლის ნათელ ხსოვნას. გაიმართა ლევან გოთუას „გმირთა ვარამის“ მცოდნეთა კონკურსში გამარჯვებული ბავშვების დაჯილდოების ცერემონიალი.

საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებამ“ კი ლევან გოთუას ხსოვნას სპეციალური სიუჟეტი მიუძღვნა.

თაკო მელიქიშვილს შვილმა დედა დაუძახა

მომღერალ თაკო მელიქიშვილს მისმა 5 წლის შვილმა რატიმ დედა დაუძახა. მომღერლის ოცნება ასრულდა.

თაკოს უმცროს შვილს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა და უწყვეტი სარეაბილიტაციო კურსი ესაჭიროებოდა.

ორი კურსის გავლის შემდეგ რატიმ თაკოს დედა დაუძახა და მომღერალს დიდი ხნის სურვილი რეალობად უქცია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახატნის მცირე ეკლესიაში უცნობმა პირმა საცხოვრებელი მოიწყო

წილკნისა და დუშეთის ეპარქიის სოფელ ახატნის მცირე ეკლესიაში უცნობმა პირმა საცხოვრებელი მოიწყო.

ინფორმაცია და ფოტოები ინტერნეტში დეკანოზმა ილია ჭიღლაძემ გაავრცელა:

– თვალი არ გატყუებთ, ეს უმსგავსობა წილკნისა და დუშეთის ეპარქიის სოფელ ახატნის მცირე ეკლესიაში ხდება. კომპლექსში ორი ეკლესიაა, უმოქმედო მცირე ეკლესიაში ვიღაცამ საცხოვრებელი მოიწყო. საკურთხეველი შეშის საწყობადაა ქცეული.

საპატრიარქო, როგორც მესაკუთრე, არ უფრთხილდება და ყურადღებას არ აქცევს ძველ ეკლესიებს ეს არახალია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსაც სძინავს. არანაირი ინსპექტირება, არანაირი მონიტორინგი, ეროვნული საუნჯე ბედის ანაბარადაა მიტოვებული.

დიდ ეკლესიაში, რომელიც მოქმედია და უნიკალური მე-12 საუკუნის ფრესკებითაა შემკული, ზედ წმინდანთა გამოსახულებებზე ვანდალურად და მკრეხელურად დაჭედებულია ლურსმნები და დაკიდულია ხატები. სოს! ახატანი.

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. მხოლოდ მოსახსნელი საღეჭი პროთეზები იტალიური, რუსული კბილებით. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● 45-წლიანი გამოცდილებითა და შედეგების სრული გარანტიით გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას – ფოტოსურათით მოგიხსნით: ჯადოთვალი-წყევლის ზემოქმედებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებას, დეპრესიას, შებოჭილობას, ეჭვიანობას, მოზარდებში პრობლემებს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ძილში შფოთს, გაუმართლებლობას, ოჯახურ გაუგებრობას, ოჯახის შესაქმნელად გაგიხსნით ბედს, ჩაკეტილ მამაკაცობას, სექსუალური კონტაქტის შიშსა და სხვა პრობლემებს. მის.: წერეთლის გამზირი №57. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი-პარაფსიქოლოგი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

ქართველები ბუდაპეშტში ლიცენზიებისთვის იჭიდავებენ



18-21 მარტს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ევროპული ზონისთვის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი ტარდება, სადაც საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები ჩავა.

ეს ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო პერიოდში მე-3 ეტაპია. ტოკიოში გამგზავრების უფლება უკვე მიიღეს 2019 წელს ყაზახეთში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეულებმა და პან-ამერიკული თამაშების ჩემპიონებმა, ბუდაპეშტში კი საგზურებს ფინალისტები მიიღებენ.

საქართველოდან ბუდაპეშტში იჭიდავებენ:

თავისუფალი ჭიდაობა

ბექა ბუჯიაშვილი (57კგ), ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (65), ავთანდილ კენჭაძე (74), სანდრო ამინაშვილი (86);

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ირაკლი ძმისტარიშვილი (60), რამაზ ზოიძე (67), გელა ბოლქვაძე (77), ლაშა გობაძე (87).

როგორც ხედავთ, საქართველო სრული და უფრო ძლიერი შემადგენლობით არ ჩადის უნგრეთში, რადგან ოლიმპიური ლიცენზიები უკვე მოპოვებული აქვთ თავისუფალ ჭიდაობაში ბექა ლომთაძეს (61), ირაკლი მწითურსა (92) და გენო პეტრიაშვილს (მძიმე), ხოლო ბერძენ-რომაელთაგან – ნუგზარ წურწუმიას (55), ლაშა გობაძესა (82) და იაკობ ქაჯაიას (130). შესაბამისად, ამ სპორტსმენებს ტოკიოში წლეულს დაგეგმილ ოლიმპიადაზე ასპარეზობა განაღდებული აქვთ.

საქართველომ სომხეთს ერევანშიც მოუგო

ევრო 2022-ის საკვალიფიკაციო ჯგუფური ეტაპის მეოთხე შეხვედრა საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა სომხეთს სტუმრადაც მოუგო (3:2) და ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად დიდი ნაბიჯი გადადგა.

მატჩი დაძაბული გამოდგა. დასაწყისი ჩვენების იყო – ავთანდილ ასათიანის გუნდი ნიკოლოზ კურტანიძისა და ბინიოს გოლებით 2:0 დაწინაურდა.

ამის შემდეგ უპირატესობა სომხებმა იგდეს ხელთ და პირველ ტაიმში ერთი გოლი გაქვითეს, ხოლო მეორის დასაწყისში ანგარიში გაათანაბრეს.

ევროპაზე გასასვლელად საქართველოს ფრე არ აწყობდა და ელისანდრუმ სუპერგოლით გუნდს შანსი შეუნარჩუნა.

ჯგუფს ოთხი ტურის შემდეგ 12 ქულით რუსეთი ლიდერობს, საქართველო 7 ქულით მეორეა, საფრანგეთს 2 ქულა აქვს, სომხეთს – 1.

მომდევნო მატჩი ჩვენებს 9 აპრილს საფრანგეთთან შინ ელით, ხოლო 12 აპრილს მოსკოვში რუსეთს ესტუმრებიან.

მიქაუტაძე საქართველოს ნაკრებში ითამაშებს

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვილი სანიოლის ასისტენტმა ზურაბ ხიზანიშვილმა ბელგიური სერენის თავდამსხმელის გიორგი (ჟორჟ) მიქაუტაძის საქართველოს ნაკრებში თამაშის საკითხი დაადასტურა. ხიზანიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია.

მიქაუტაძე ლიონშია დაბადებული. ამჟამად ფრანგული მეცის საკუთრებაა, მაგრამ ბელგიურ სერენში ჰყავთ განათხოვრებული. გიორგის ბელგიის პროქსიმუს ლიგაში 18 მატჩში 18 გოლი აქვს გატანილი.

შედეგები

10 მარტი
ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ლივერპული-ლაიფციგი 2:0
პსჟ-ბარსელონა 1:1

ინგლისი. ჩემპიონშიპი

სიტი-საუთჰემპტონი 5:2

სატუნირო ცხრილი:

1.სიტი	29	21	5	3	61-21	68
2.მანჩესტერი	28	15	9	4	55-32	54
3.ლესტერი	28	16	5	7	48-32	53
4.ჩელსი	28	14	8	6	44-25	50
5.ვესტ ჰემი	27	14	6	7	42-31	48
6.ევერტონი	27	14	4	9	39-35	46
7.ტოტენჰემი	27	13	6	8	46-28	45
8.ლივერპული	28	12	7	9	47-36	43
9.ასტონ ვილა	26	12	4	10	38-27	40
10.არსენალი	27	11	5	11	35-28	38
11.ლიდსი	27	11	2	14	43-46	35
12.ვულვზი	28	9	8	11	28-37	35
13.კრ.პალასი	28	9	7	12	30-47	34
14.საუთჰემპტონი	28	9	6	13	35-49	33
15.ბარნლი	28	7	9	12	20-36	30
16.ნიუკასლი	27	7	6	14	27-44	27
17.ფულემი	28	5	11	12	22-33	26
18.ბრაიტონი	27	5	11	11	27-35	26
19.ვესტ ბრომვიჩი	28	3	9	16	20-56	18
20.შეფილდი	28	4	2	22	16-45	14

გერმანია. ბუნდესლიგა

არმინია-ვერდერი 0:2

სატუნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	24	17	4	3	71-34	55
2.ლაიფციგი	24	16	5	3	46-20	53
3.ვოლფსბურგი	24	12	9	3	38-21	45
4.აინტრახტი	24	11	10	3	47-33	43
5.ლევერკუზენი	24	11	7	6	42-26	40
6.დორტმუნდი	24	12	3	9	50-35	39
7.უნიონი	24	8	11	5	36-26	35
8.ფრაიბურგი	24	9	7	8	37-38	34
9.შტუტგარტი	24	8	9	7	45-37	33
10.გლადბახი	24	8	9	7	40-37	33
11.ჰოფენჰაიმი	24	8	6	10	39-41	30
12.ვერდერი	24	7	9	8	29-33	30
13.აუგსბურგი	24	7	5	12	24-37	26
14.კიოლნი	24	5	7	12	22-42	22
15.ჰერტა	24	5	6	13	28-43	21
16.არმინია	24	5	3	15	18-43	19
17.მაინცი	24	4	6	14	23-44	18
18.შალკე	24	1	7	16	16-61	10

ესპანეთი.
პრიმერა დივიზიონი

ატლეტიკო-ბილბაო 2:1

სატუნირო ცხრილი:

1.ატლეტიკო	26	19	5	2	50-18	62
2.ბარსელონა	26	17	5	4	57-22	56
3.რეალი	26	16	6	4	44-21	54
4.სევილია	25	15	3	7	35-20	48
5.სოსიედადი	26	12	9	5	43-21	45
6.ბეტისი	26	13	3	10	36-40	42
7.ვილიარეალი	26	8	13	5	34-29	37
8.ბილბაო	26	9	6	11	37-31	33
9.სელტა	26	8	9	9	34-40	33
10.გრანადა	26	9	6	11	32-44	33
11.ლევანტე	26	7	11	8	35-35	32
12.ვალენსია	26	7	9	10	32-36	30
13.ოსასუნა	26	7	7	12	23-35	28
14.კადისი	26	7	7	12	22-41	28
15.ხეტაფე	26	7	6	13	21-32	27
16.ვალიადოლიდი	26	5	10	11	25-37	25
17.ელჩე	25	5	9	11	23-37	24
18.ალავესი	26	5	7	14	22-42	22
19.ეიბარი	26	4	10	12	20-29	22
20.უესკა	26	3	11	12	25-40	20

საფრანგეთი. ლიგა 1

მარსელი-რენი 1:0

სატუნირო ცხრილი:

1.ლილი	28	18	8	2	49-17	62
2.პსჟ	28	19	3	6	62-17	60
3.ლიონი	28	17	8	3	56-25	59
4.მონაკო	28	17	4	7	56-38	55
5.ლანსი	28	12	8	8	42-39	44
6.მარსელი	28	11	9	8	35-32	42
7.მეცი	28	11	8	9	33-27	41
8.მონპელიე	28	11	7	10	44-47	40
9.ანჟე	28	11	6	11	33-42	39
10.რენი	28	10	8	10	33-32	38
11.ნიცა	28	10	5	13	35-40	35
12.რეიმსი	28	8	10	10	34-35	34
13.ბრესტი	28	10	4	14	42-50	34
14.სტრასბური	28	9	6	13	36-41	33
15.ბორდო	28	9	6	13	28-34	33
16.სტ.ეტიენი	28	7	9	12	29-42	30
17.ლორიანი	28	7	6	15	34-52	27
18.ნიმი	28	7	4	17	27-54	25
19.ნანტი	28	4	12	12	28-44	24
20.დიჟონი	28	2	9	17	19-47	15

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

უგოლო დღე

დილა-ლოკომოტივი 0:0
გორი. თენგიზ ბურჯანაძე
81-ე წუთზე ბიძინაშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

დილა: გუგეშაშვილი, ჩიტეიშვილი, ხურცილავა, მაისაშვილი (ეტოუ 88), ა.სანტოსი, სილვა, ბუღრიძე (კამარა 73), ნონდი (მოსიაშვილი 85), ნ.გაგნიძე, ბიძინაშვილი, ღუდუშაური

ლოკომოტივი: მამარდაშვილი, გურეშიძე, კაშია, სანდოხაძე, უბილავა, დარცმელია (სამურკასოვი 61), იმრანი (გავაშელიშვილი 77), შონია, თ.კირკიტაძე (მუკბანიანი 90), კახაბრიშვილი, სიხარულიძე

საკმაოდ საინტერესო სანახავი გამოდგა უგოლო მატჩი. ორივე გუნდს მრავლად ჰქონდა მომენტები, მაგრამ მეკარეები ძალიან მაგრად თამაშობდნენ. გუგეშაშვილმა პირველ ტაიმში ორჯერ იხსნა გუნდი. მეორეში უკვე მამარდაშვილის ჯერ დადგა და ორჯერ გასცა პასუხი კოლეგას. აქედან ერთი პენალტი იყო.

საბურთალო-ტორპედო 0:0
თბილისი. მიხეილ მესხი

საბურთალო: მეგრელიშვილი, მალი, ლაცაბიძე, ჯგერენაია (ცნობილაძე 53), კაკუბავა, ი.ტაბატაძე (შულაია 63), ძებნიაური, ტერა, მანდრიჩენკო (ლ.ნონიკაშვილი 63), გულიაშვილი (ერისთავი 63), თ.ტაბატაძე (გ.გოჩოლეიშვილი 87)

ტორპედო: შოვნაძე, ვ.ტაბატაძე, მირცხულავა, ქაფიანიძე, ნადარაია, ტუიჩიბაევი, მამასახლისი (გოგუაძე 90), ბუკასი, სალაკუ (შარვაშიძე 72), რეკიში (ძარია 79), ზიდანი

გაძევება: ძებნიაური (77)

მეორე უგოლო მატჩი ტურში. თამაშის მიმდინარეობიდან თუ გადავხედავთ – კანონზომიერი. ორივე გუნდს გოლის გატანის მხოლოდ მცდელობები ჰქონდათ.

არ იყო ის საბურთალო, რაც ჩემპიონატის დასაწყისში გამოჩნდა და ფავორიტებში ჩაეწერა. ტორპედო კი, განსხვავებით საწყისი ტურებისაგან, უფრო დალაგებული ჩანდა.

თელავი-სამგურალი 0:0
რუსთავი. ტექნიკური ცენტრი

თელავი: ჩოჩიშვილი, ც.კაპანაძე, ბერიაშვილი, მ.ბაშელეიშვილი, მ.ჯიქია, ფაცაცია, შეყილაძე (ინჯგია 79), სოსიაშვილი (ხაბულიანი 61), ძოწენიძე, არდაზიშვილი, შერგელაშვილი

სამგურალი: ქვილითაია, ლ.ასათიანი (დოლიძე 59), პატარკაციშვილი, ს.კუხიანიძე (ბუხაიძე 81), ფონიავა, დ.კირკიტაძე (ჩიხლაძე 46), ქურდაძე, ლექვთაძე (ი.ახვლედიანი 88), გ.თევზაძე (კალანდარიშვილი 59), ბურჯანაძე, მჭედლიშვილი

მესამე უგოლო ფრე. ამჯერად ისეთი გუნდების ჯახში, სადაც ერთმანეთთან ექვსქულიანი მატჩების გამართვა უწევთ. წაგება არც ერთს არ სურდა, ამიტომ უფრო მშვიდ თამაში არჩიეს და ასეც დაშორდნენ ერთმანეთს.

სატუნირო ცხრილი:

1.დილა	3	2	1	0	3-0	7
2.დინამო (ბთ)	3	2	1	0	3-1	7
3.საბურთალო	3	1	2	0	2-0	5
4.დინამო (თბ)	3	1	1	1	3-2	4
5.თელავი	3	1	1	1	3-3	4
6.შუქურა	3	1	1	1	2-2	4
7.ლოკომოტივი	3	1	1	1	3-4	4
8.სამგურალი	3	0	3	0	1-1	3
9.ტორპედო	3	0	1	2	0-3	1
10.სამტრედია	3	0	0	3	0-4	0

პსჟ და ლივერპული მეოთხედფინალში გავიდნენ

პსჟ-ბარსელონა 1:1
გოლები: 1:0 მბაპე (30), 1:1 მესი (37)
45-ე წუთზე მესიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

პარი სენ-ჟერმენმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში 2 მატჩის ჯამში ბარსელონა დაამარცხა და ზედიზედ მეორედ ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა.

ამ წყვილში ჯერ კიდევ პირველ, „კამპ ნოუზე“ გადაწყდა, სადაც ფრანგებმა 4:1 მოიგეს, თუმცა ბარსას სჩვევია მიზერული შანსის გამოყენება.

ბარსამ აქცენტი პირველივე წუთებიდან სწრაფ გოლზე გააკეთა, მაგრამ გოლი მეტოქემ შეაგდო. კილიან მბაპემ 11 მეტრიდან ზუსტად დაჰკრა.

აღსანიშნავია, რომ ფრანგმა ლეო მესის რეკორდი დაამხო – ჩემპიონთა ლიგაში 25-ე გოლი ყველაზე ახალგაზრდამ მიითვალა. კილიანი 22 წლისა და 80 დღის ასაკში იყო.

გაშვებული გოლით ბარსელონისათვის ბევრი არაფერი შეცვლილა – მაინც ოთხი გოლი სჭირდებოდა.

ერთი მალევე გავიდა – ლიონელ მესის ფანტასტიკური გოლი. არგენტინელმა ვარსკვლავმა საჯარიმოს გარედან გაისროლა – 1:1. ეს ბარსელონის თავდამსხმელის 120-ე გოლია ჩემპიონთა ლიგაში.

ლეოს კიდევ შეეძლო გატანა, მაგრამ პენალტი ვერ გამოიყენა – მეკარემ აუღო. ეს ტაიმის ბოლოს მოხდა.

შესვენების შემდეგ თამაში დაწყნარდა. ბევრი არაფერი შექმნილა და პსჟ მეოთხედფინალში გავიდა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კეილორ ნავასი

ალბათ, მატჩის გარდამტეხი მომენტი იყო, როდესაც მესის პენალტი აუღო და მეტოქეს წინ გასვლის საშუალება არ მისცა.

ლივერპული-ლაიფციგი 2:0
გოლები: 1:0 სალაჰი (70), 2:0 მანე (74)

ამ წყვილის ეს მატჩიც „პუშკაშ არენაზე“ – ნეიტრალურ მოედანზე გაიმართა. ამჯერად „მასპინძელი“ ლივერპული იყო და ისეთივე ანგარიშით მოიგო, როგორც სტუმრად.

გოლებიც იმავე ფეხბურთელებმა გაიტანეს – მოჰამედ სალაჰმა და სადიო მანემ.

ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა და შესვენებისას ყველაფერი ნათელი იყო. ლივერპულს ორი მატჩის ჯამში რთული გზა არ გაუვლია.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – სადიო მანე

კარგი მატჩი გამოუვიდა მანეს. აწუხებდა ლაიფციგის დაცვას და დაუფასდა კიდეც – გოლი და საგოლე პასი.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი სამხედრო ჯგუფი; 2. კანონი ხონის რაიონში; 3. შაქრით შეზავებული ხილის წვენისგან მომზადებული აღმოსავლური სასმელი; 4. კანადელი ესკიმოსების ყინულის ქოხი; 5. დაბალხარისხიანი თამბაქო; 6. სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება; 9. მკურნალობა სისხლის გადასხმით; 10. მარიონეტების ქართული თეატრის ფუძემდებელი; 11. აფხაზეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 14. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტის კორპუსის ნაწილი; 18. უდაბნოში მზარდი მცენარე; 20. ქართული საგმირო პატრიოტული სიმღერა; 23. ადამიანის გარემომცველი ბიოველი; 24. აფრიკული ცხოველი; 25. პირველი ახლადმოსული თოვლი; 26. უბანი თბილისში.

თარაზულად: 7. აჭარული ცეკვა; 8. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 12. შოკოლადის ხე; 13. ცხენის ნაშიერი; 15. ქიმიური ელემენტი, აირი; 17. საფოსტო გზავნილება; 19. ევროპა-აზიის გამყოფი ქედი; 21. ზოდიაქოს ნიშანი; 22. მძორისმჭამელი ფრინველი; 27. ნახატის, წარწერის ამოკვეთა ლითონზე, ქვაზე ან ხეზე; 28. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პლუნი; 2. რიკოთი; 3. იფქლი; 5. იკაო; 6. სესილი; 8. ორფოლო; 11. აბსოლუცია; 13. გოტარდი; 14. ვაგნერი; 15. ყაზბეგი; 19. იორი.

თარაზულად: 1. პოლიქრომია; 4. ჰიგინსი; 7. ზვარაკი; 9. ლიბრეტო; 10. ქართუ; 12. ჭყონდიდი; 16. ხოჭოლავა; 17. ეტალონი; 18. ანდალუზია; 20. იაგუარი; 21. ბივა; 22. კოსტიოლი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შპრეე; 2. ურავი; 3. ქანდარა; 4. მაცა; 5. ქამა; 6. ვივალდი; 9. სკანდინავია; 10. პროზელიტი; 11. სამტრედია; 14. ფობია; 16. ტვიში; 18. ფრეგატი; 20. გორგაძე; 23. ჭონი; 24. ულისე; 25. ბეუუი; 26. ჭომა.

თარაზულად: 7. ფასანაური; 8. კატალონია; 12. საარი; 13. ტაბლა; 15. დუნაი; 17. ბოგდიხანი; 19. აბატი; 21. გენტი; 22. შიფრი; 27. სტიპენდია; 28. თურმანიძე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3238

ევრო — 3.9537

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6148

100 რუსული რუბლი — 4.8895

ამინდის პროგნოზი 12 მარტისათვის

16 მარტიდან

ქართული საბავშვო ლექსის ანთოლოგია

წიგნში თავმოყრილია ქართველი პოეტების ცნობილი საბავშვო ლექსები, რომლებიც ძალიან უყვართ პატარებს. აქვე წაიკითხავთ ზოგიერთ „საუფროსო“ ლექსსაც, რომელიც ბავშვებისთვის ისეთივე გასაგები და საყვარელია, როგორც დიდებისთვის – ხალხური პოეზია, ამირანის ეპოსი, „ვეფხისტყაოსანი“ და ა.შ. ამოარჩიეთ თქვენი საყვარელი ლექსი და დატკბით.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ბასილაშვილმა ფედერერს მოუგო

ქართველი ჩოგბურთელი ნახევარფინალში გავიდა



11 მარტს დოჰას 250-ქულიანი ტურნირის მეოთხედფინალში ნიკოლოზ ბასილაშვილმა ლეგენდარული შვეიცარიელი როჯერ ფედერერი სამ სეტში დაამარცხა, რომელიც 13-თვიანი პაუზის შემდეგ კორტს დაუბრუნდა.

მატჩი საათი და 49 წუთი გაგრძელდა.

პირველი სეტი ფედერერმა 6:3 მოიგო, მეორე ბასილაშვილმა 6:1, გადამწყვეტ სეტში კი ნიკოლოზმა 7:5 იმარჯვა.

ხუთმატჩიანი წაგებათა სერიის შემდეგ ნიკოლოზმა ტურნირზე ავსტრალიელ ჯონ მილმანსა (6:4, 6:2) და ტუნისელ მალექ ჯაზირს (6:2, 6:2) სძლია.

ნახევარფინალში ბასილაშვილი ამერიკელ ტეილორ ფრიტცს შეხვდება.

ასტროპროგნოზი

12 მარტისათვის

ვერძი – დაძაბული პერიოდია. ინტრიგები დილიდანვეა მოსალოდნელი. უეცარი დაბრკოლება თქვენს საქმეებზე უარყოფითად აისახება. **კურო** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. სიახლეების ნუ შეგეშინდებათ. **ტყუპები** – საქმიანი აქტივობისათვის შეუფერებელი დღეა. მოშურნეები ყველანაირად ხელს შეგიშლიან. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **ლომი** – ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან ცუდი ურთიერთობა გაქვთ. ნუ აჰყვებით ჭორებს და ერიდეთ საქმის გარჩევებს. **ქალწული** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **სასწორი** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ, ივარჯიშეთ. აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. ბუნების წიაღში გასვლა ნერვებს დაგიწყნარებთ. **მშვილდოსანი** – თქვენთვის დამახასიათებელი კომუნიკაბელურობის წყალობით საქმიანი პარტნიორების ყურადღებას მიიპყრობთ და ახალ მოკავშირეებსაც გაიჩენთ. გელით რომანტიკული თავგადასავალი. **თხის რქა** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **მერწყული** – ფინანსური საკითხები წარმატებით გადაწყდება. დაიცავით ზომიერება ნებისმიერი მოქმედებისას. **თევზები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის. დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

მიხოს ბაღში ვაშლს პარავენ. ერთ ღამესაც დაუყარაულდება და ხედავს, რომ ვაშლის ხეზე ვიღაცაა ამძვრალი. მიეპარება, ხელს კვერცხებში სტაცებს და ეკითხება:

– მითხარი, რომელი ხარ?!

– მმმ...

– მითხარი, რომელი ხარ? – თანაც კვერცხებზე ხელს უფრო მაგრად მოუჭერს.

– მმმუუუ...

– მითხარი, რომელი ხარ, თორემ მოგაგლიჯე ეს კვერცხები!

– მუნჯი გოგია ვარ, მუნჯი გოგია...

●●●

ერთი ბავშვი მეორეს ეუბნება:

– მამიკო ძალიან სერიოზულად ეკიდება პანდემიას.

– მასე რატომ გგონია?

– გამუდმებით სადეზინფექციო ხსნარის სუნი ასდის.

●●●

შვილი უყურებს, როგორ ღებავს მამა კედელს. დედა ეუბნება:

– უყურე შვილო, უყურე და რომ გაიზრდები, მამიკოს მიეხმარები.

– რა, მანამდე ვერ დაამთავრებს?

●●●

მამაკაცი გამყიდველს ეუბნება:

– თუ შეიძლება, საპონი და თოკი მომეცით.

– რა, თავის ჩამოხრჩობას აპირებთ?

– არა, უნდა ვიბანაო და მერე კლდეზე ავცოცდე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შალვა ამონაშვილი 90 წლის გახდა

ჰუმანური პედაგოგიკის ფუძემდებელი შალვა ამონაშვილი 90 წლის გახდა. იუბილე მან უახლოესი ადამიანების გარემოცვაში კახეთში, ბუშეტში აღნიშნა. იუბილარს მრგვალი თარიღი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებმა ნაცნობმა თუ უცნობმა ადამიანებმაც მიულოცეს.

თამრიკო სხვიტარიძე, „ბასტი ბუბუს“ დამფუძნებელი, შალვა ამონაშვილის რძალი:

– ისეთი განცდა მაქვს, რომ მე გავხდი 90 წლის. დაუვიწყარი დღე გვქონდა. თვითონ შალიკომაც თქვა, ყველაზე ბედნიერი ვიყავიო. ერი და ბერი გვილოცავდა, ყველა ერთმანეთს ეჯიბრებოდა ორიგინალური საჩუქრის მოფიქრებაში, ყოველ ჯერზე გაოცებული ვიყავი უზარმაზარი სიყვარულის გამოხატვით, რითაც გვილოცავდნენ მთელ ოჯახს ახლობლებიც, ნაცნობებიც, ცნობილებიც და უცნობნიც, სოფელიც და ქალაქიც, პოლიტიკოსებიც და მეცნიერებიც, ხელოვანნიც და სპორტსმენებიც, ბავშვებიც და უფროსებიც. ბუნებამაც თავისებურად მოგვილოცა – ისეთი თოვლი მოდიოდა მთელი დღე, თავი ზღაპარში მეგონა. დღეს დილიდან კახეთის გუბერნატორმა ვერტმფრენით გამოუარა შალიკოს და მის საყვარელ კავკასიის მთებთან შესახვედრად გადააფრინა თუშეთში. მოდით, ჩვენც ეგრე მოვიყაროთ 90 წლამდე, რა�ა, ეგ დავიდოთ მიზნად, უბრალოდ, ყველას რომ უხაროდეს ჩვენი დაბადების დღე.

ნინი შერმადინი: „განა რა გახდა, გვიყვარდეს ერთმანეთი“

ამერიკაში მცხოვრები ქართველი მომღერალი ნინი შერმადინი საზოგადოებას ერთმანეთის შეყვარებას სთხოვს:

– მაქსიმალურად თავს ვიკავებდი, არ მინდოდა, რამე კომენტარი გამეკეთებინა, სრულიად აპოლიტიკური ადამიანი ვწერ ამ პოსტს. საერთოდ ვერ ვერკვევი პოლიტიკაში და მგონია, რომ ვერასდროს გავიგებ. არ ვიცნობ ბერა ივანიშვილს, არც მის გარემოცვას... არც მისგან მიმიღია რამე ბენეფიტი და არც „ქართული ოცნების“ დიდი მოტრფიალე ვარ, არც ბერას ერთგული მსმენელი, მაგრამ, რასაც ახლა ვხედავ, გაუგონარი და დაუჯერებელია... შეიძლება, პოლიტიკოსი არ მოგწონდეს, ვერ იტანდე, გეზიზღებოდეს, მაგრამ იმის შვილებთან რა გვესაქმება? შვილები მშობლებს არ ვირჩევთ. განა რა დაუშავეს ამ ბავშვებმა ასეთი? აგრესიაცაა და აგრესიაც... სირცხვილია, უბრალოდ, ასეთი ბულინგი. კიდევ ვიმეორებ, არ ვიცნობ და არანაირი ინტერესი არ მაქვს, ამ სტატუსით ვინმეს ვასიამოვნო, არც საქართველოში ვაპირებ ჩამოსვლას, ალბათ, დიდი ხანი, არც არავინ დამრჩა მანდ, ვის გამოც ვივლიდი... ალბათ, შინაგანი კოლეგიალურობა მალაპარაკებს, ყველა ხელოვანი მენანება, ვისაც ასე ერთ დროს აღმერთებდნენ და მერე ტალახს ესროდნენ... ამდენი წელია, ამერიკაში ვცხოვრობ და მსგავსი არაფერი მინახავს აქ. „ჰეითერები“ ვის უკვირს, მაგრამ ეს რაღაც სხვაა... ძალიან ამორალური და დაბალი დონე...

ისედაც ბოლო ჟამისკენ მივდივართ. განა რა გახდა, გვიყვარდეს ერთმანეთი... არ განვიკითხავდეთ და არ ვხოცავდეთ? განა რამდენი დავრჩით? რატომ ვერ ვიტანთ ქართველები ასე ერთმანეთს? გული მტკივა, სად წავიდა ის სტუმართმოყვარე, ერთგული და ყველაზე ლმობიერი და მიმტევებელი ერი, რასაც გვასწავლიდნენ ჩვენი მშობლები, ბებიები და ბაბუები...

რაც შეეხება ამიკოს, ალბათ, სულ მცირე, 15 წელია, ვიცნობ. თავმდაბალი, უშუალო და კეთილი ადამიანია. ჩემი მეგობარია და ძალიან მიყვარს. მისი ძალადობა არავის გაგვიგონია, ვინც ვიცნობთ.

სიყვარული გადაგვარჩენს, მეტი არაფერი. სიცოცხლე სულ რაღაც 1 წამია და ისიც ბოროტებასა და სიძულვილში რომ გავლიოთ, ძალიან დასანანია. პატივისცემით, თქვენი ემიგრანტი ნინი შერმადინი.

დუტა სხირტლაძე ახალ გადაცემას წაიყვანს

მსახიობი დუტა სხირტლაძე ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში მალე კიდევ ერთ ახალ გადაცემას წაიყვანს.

„თავიდან ბოლომდე“ – ასე ჰქვია ახალ ინტელექტუალურ გასართობ შოუს, რომლის მონაწილეც ნებისმიერ სრულწლოვანს შეუძლია, გახდეს.

თუკი შოუს მონაწილე ბოლომდე გაჰყვება დუტას თამაშში და ყველა დასმულ კითხვას სწორად გასცემს პასუხს, გამარჯვებულის ტიტულის მფლობელთან ერთად, 100.000 ლარსაც მოიგებს.

ლევან წვერავასა და ნინი კენჭიაშვილს ნანატრი შვილი შეეძინათ

ჯგუფ „სეიშენის“ ერთ-ერთ წევრს ლევან წვერავასა და მის მეუღლეს ნინი კენჭიაშვილს 10-წლიანი ლოდინის შემდეგ ნანატრი შვილი შეეძინათ.

წყვილმა პატარას ნოე დაარქვა. ნოე წვერავას ფოტო ინტერნეტში უკვე გავრცელდა და უამრავი მოწონება და დადებითი კომენტარი დაიმსახურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ქართველ პოეტ რაზიკაშვილის ფსევდონიმი; 2. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 3. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ხორვატიაში; 5. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 6. თანამდებობის პირის მოსასყიდად გაცემული თანხა; 8. ციხე-სიმაგრე მესხეთში; 11. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. ცეცხლსასროლი იარაღის ამერიკელი კონსტრუქტორი; 14. თეატრის ერთ-ერთი სახეობა; 15. შექსპირის ტრაგედია; 19. ბრიტანული ლუდხანა.

თარაზულად: 1. ჩეხური ლუდი; 4. ნიკოტინის შემცველი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე; 7. მუნჯი კინოს კომიკოსი; 9. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 10. სპორტული სირბილი დაბრკოლებათა გადალახვით; 12. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 16. სადავო საკითხის საჯარო განხილვა; 17. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 18. ცნობილი დანიელი კარიკატურისტი; 20. ძველებური სახელურიანი, დასაკეცი სათვალე; 21. ერთგულების მტკიცე პირობა; 22. სასტუმრო გაგრაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა